

## 14 აპრილი „დედა ენის“ დღეა

ჩვენი სტუმარია გლდანის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

### დაგელოცოთ მარჯვენა, ნიჭიერ შემოქმედთა მწვრთნელ-დამკვალიანებლებო!



პროექტი „სკოლა ბანკი“  
ხელმძღვანელი: ნინო შუბითიძე



პროექტი „წიგნის თარო“  
ხელმძღვანელი გულიკო კანდელაკი

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეთა თუ სახლების მიზან-ფუნქციაზე, მათ უდიდეს სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობაზე მსჯელობით თავს არ შეგანყენოთ. თუმც, მაინც მინდა ერთი მაგალითი დავასახელო.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლიდან გამოვიდნენ ისეთი დიდი მასშტაბის ვარსკვლავები, როგორც იყვნენ და არიან: რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე, ნიკა წულუკიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლანა ლოლობერიძე, ლილა ერადე (ჟურნალისტი)... ყველას აქ ვინ ჩამოთვლის?

ამ სასახლეს დიდი ხანია მხარს უმშვენებს დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი თავისი ფილიალებით. ცხრა რაიონული სახლი გვაქვს, რომელთაც სათავეში უდგანან ნიჭიერი, უნარიანი, შემოქმედი დირექტორები.

ყველა მათგანის მუშაობას კარგა ხანია ეფექტიანად, ნაყოფიერად წარმართავს შემოქმედი ორგანიზატორი, ერუდირებული, დამსახურებული პედაგოგი მანანა წნორიაშვილი. ასეთი თავდადებული მოღვაწეობისათვის დიდი მადლობა მას!

ამასწინათ ერთ-ერთ მონინავე სახლის გამოცდილება გავაცანით

საზოგადოებას. ეს იყო ისინი რაიონის სახლი, რომელსაც უნარიანად უძღვება თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პედაგოგი **ჯულიეტა დანელია**.

ამჯერად, გლდანის რაიონის ჯერი დამდგარა.

გთავაზობთ საუბარს სახლის დირექტორთან. **ლია კობალიანი** ვრცლად მოგვითხრობს ამ სახლის ნიჭიერთა მწვეფარე ცხოვრება-საქმიანობაზე.



საქველმოქმედო კონცერტი  
ბედიანის ბავშვთა სახლში

აქედან კორიფეები აფრინდებინ

გლდანის ფილიალი წარმოადგენს აღზრდისა და დამატებითი განათლების დაწესებულებას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი დაარსდა 1982 წელს, (დირექტორი: **ჟუჟუნა ხუციშვილი**) როგორც გლდანის რაიონის პიონერთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ხოლო 2007 წლიდან გადაერქვა სახელი და ინოვება ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გლდანის ფილიალი.

სწორედ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასაბამი მიეცა არაერთ მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების დაარსებას.

**ანსამბლები:** ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი: „**მთიები**“ ხელ-ლი: **ვაჟა დურგლიშვილი**; სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი ხელ-ლი: **ზაურ მასარაშვილი**; ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი ხელ-ლი: **ჯემალ დავითაშვილი**; ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი ხელ-ლი: **ავთანდილ მოდრეკილაძე**. იმ

წლების მანძილზე ანსამბლები მოგაზაურობდნენ საბჭოთა კავშირის არაერთ ქვეყანაში, აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო და რეპუბლიკურ ფესტივალებზე და კონკურსებში. თითქმის 40 წელზე მეტია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ემსახურება მომავალი თაობის არაფორმალურ განათლებას. იგი მდებარეობს გლდანის 135-ე ბაგა-ბაღის შენობაში, სადაც იგრძნობა სისუფთავე, წესრიგი, ინფრასტრუქტურა მონესრიგებულია და კლას-კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სათავეში უდგას **ლიანა კობალიანი**, რომელიც ამავე დროს არის ინგლისური ენის პედაგოგი. იგი ყოველდღიურად ზრუნავს, როგორც მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის, ასევე მოსწავლეთა კრეატიული განვითარებისთვის.

ამჟამად მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები:

**მხატვრულ-შემოქმედებითი:** ქართული ხალხური სიმღერების სტუდია „**კესანე**“ ხელ-ლი **ხათუნა ცხვედაძე**; ქართული ხალხური ცეკვები - ხელ-ლი: **სოფიო ბოდუკია**; მსოფლიო ხალხთა ცეკვები- ხელ-ლი



შემაჯამებელი  
მეცადინეობა ხატვაში  
ხელმძღვანელი მარიამ  
ბედიანაშვილი

გაგრძელება მე-2 გვ.



ლადო ასათიანი

## ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!..

უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა, მნიფე პურის ყანა ქარში როგორ ლელავს.

სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგ ზაურობს,

ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში.

როცა ღამისმთევლებს ღვინი გაუმართავთ და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან...

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!



პროფორმენტაცია  
შემაჯამებელი  
გლდანის ურთიერთობა  
ხელმძღვანელი: ბელა  
თოდუა

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!



# „ბორიანი“, როგორც ათენში მოღვაწე ქართულის პედაგოგმა გვარჯიშა

გალაკტიონი მკითხველებს დაახლოებით ასე ახარისხებდა: „არის ნამდვილი მკითხველი და ბევრი გადამკითხველი“.

ამ სარეცენზიო წიგნის ავტორია ათენში ქართულის პედაგოგად მოღვაწე მადონა ჯავახიშვილი.

დაამთავრა თბილისის მე-15 სკოლა, სადაც მე და დედამისი კოლეგები ვიყავით.

წიგნი „ბორიანი“ ისე საინტერესოა, რომ იმ გადამკითხველსაც მოხიბლავს. „ამბავი ფანტასტიკურია, თითქოს დაუფერებელი, თუმცა რეალური“. ავტორი წიგნის და მწერლის დანიშნულებასა და ფუნქციასაც მსჯელობს. აი, წინასიტყვაობიდან რამდენიმე სენტენცია: „ზოგჯერ იმასაც ვერ ვიფერებთ, რასაც ვხედავთ და რაოდენ რთულია იმის დაფერება, რაც არასდროს გვინახავს“.



მწერალმა კი მკითხველის დაფერება შეძლო.

„დუმილში ყველაზე დიდი ხმაურია და უბრალოებაში უდიდესი ბრწყინვალება, ანათე ისე, რომ გაათბო და არავინ დაწვა“. ეს კი მხატვრული სიტყვის ოსტატის კრეალობა, პირდაპირი მნიშვნელობით.

ბევრი ვიფიქრე, როგორ დამეწერა მოკლე რეცენზია, მაგრამ რედაქტორის სოსო ლებანიძის წინასიტყვაობაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

წიგნის კითხვის დასასრულს უცნაური შთაბეჭდილება და აზრი ამეკვიცა: ავტორი მეოცე საუკუნის გენიოსი პროზაიკოსის, დიდი მიხეილ ჯავახიშვილის მემკვიდრეა, მისი ბრწყინვალე სტილის და მხატვრული ოსტატობის განმავითარებელი და არავითარ შემთხვევაში მიმბაძველი.

დიდი მიხეილი ასე აკვალიანებდა ახალგაზრდა კოლეგებს: „კარგი


დასაწყისი ნახევარ გამარჯვებას უდრის... თემას, როგორც მოზვერს, რქებში უნდა სწვდე და დაიმორჩილო... უნდილად დაწყებული ამბავი უნდილად წავა...“ ე. ი. მკითხველი მაგნიტით თავიდანვე უნდა მიიზიდო. ეს მეთოდიკა ბრწყინვალედ არის ფრთაშესმული „ბორიანი“.

პატივს არ ვცემ იმ კრიტიკოსებს, რომლებიც მკითხველს დაღეჭილ ლუკმასავით, როგორც ბარტყს, ისე ჩაუდებენ პირში ტექსტის შინაარსს და ინიციატივას ართმევენ, აზარმაცებენ.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გავიარე, რაა მამული?“. დიაც, „მხატვრულ ნიაღში ემოციებით არ გაიარე, რაა რომანი?“

ვულოცავ მადონა ჯავახიშვილს მორიგ გამარჯვებას, რადგანაც იგი კიდევ ლექსთა კრებულის და რამდენიმე ბრწყინვალე წიგნის ავტორია.

მკითხველო, ნაიკითხეთ „ბორიანი“, გიყვარდეთ ეს წიგნი მეტად, თავზე მეტად, რადგან იგი ბევრ



რამეს შეგძენთ, თვალსაწიერს გაგიფართოებთ, გასწავლით, ესთეტიკურ ტკბობას მოგანიჭებთ!

**ბორის მიხველაძე,**  
საქ. დამს. ჟურნალისტი, განათლების დოქტორი.

## ჩვენი სტუმარია გლდანის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

# დაგელოცოთ მარჯვენა, ნიჭიარ შემოქმედთა მწვრთნელ-დამკვალიანებლებო!

პირველი გვერდიდან

სოფიო ტოტიკაშვილი; ხატვა ხელ-ლი - მარიამ გელდიაშვილი; გიტარა, ხელ-ლი: იზაბელა ქავთარაძე;

ფორტეპიანო ხელ-ლი: იზაბელა ქავთარაძე, თეატრალური ხელ-ლი ირინა შიუკაშვილი.

სპორტული: ჭადრაკი ხელ-ლი დალი აბრამიშვილი; ტანვარჯიში - ლიზა აფაქიძე



ქართული ხალხური ცეკვები ხელმძღვანელი: სოფიო ტოტიკაშვილი

საგნობრივი: უცხო ენები, ქართული ენა და ლიტ, ისტორია, ქიმია, ფიზიკა, ფსიქოლოგია და შემეცნებით-განმავითარებელი წრე დაწყებითი კლასებისათვის.

მოსწავლეებს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები, განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის საფუძვლიან სწავლებას. ჯგუფები დაყოფილია დო-



შეხვედრა ფოლკლორულ ანსამბლ „ბორდელასთან“

ნეების მიხედვით, წლის ბოლოს გაიცემა სერთიფიკატები. საგნობრივი წრეების მოსწავლეები (ქართული ენა და ლიტ, ისტორია, ქიმია, ფიზიკა, უცხო ენები) მონაწილეობენ რესპუბლიკური სასახლის მიერ გამოცხადებულ სასწავლო კვლევით კონფერენციებში. მიმდინარე წლების მანძილზე აღებული აქვთ არაერთი სიგელი.

მოსწავლეთა სახლში გაერთიანებულია 500-მდე მოსწავლე. მათ შორის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებიცა და სწავლის წარჩინებული მოსწავლეებისათვის სწავლება უფასოა, რომელიც ხორციელდება ქ.თბილისის მერიის პროგრამის შესაბამისად.

უმალეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა რაოდენობა ბოლო 2 წლის განმავლობაში 30-მდე მოსწავლე წარმატებული შედეგებით, 100% იანი დაფინანსებით 10 მოსწავლე ჩარიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

უნდა აღინიშნოს რომ ყოველწლიურად ხდება ახალი სერვისების გახსნა, მათ შორის სექტემბრიდან გაიხსნა თეატრალური წრე, იანვრის თვეში მოსახლეობის დაკვეთის შედეგად გაიხსნა მსოფლიო ხალხთა ცეკვების და ფორტეპიანოს წრეები, სადაც გაერთიანებულია 30-მდე მოსწავლე.

მოსწავლეთა სახლის წარმატება განაპირობა: სწორმა მენეჯმენტმა და ხელმისაწვდომმა ტარიფებმა; პედაგოგებთან დადებული მოტივაციის ზრდაზე ორიენტირებულმა შრომითმა ხელშეკრულებებმა და ხელსაყრელმა პირობებმა; თემთან უწყვეტმა კონტაქტმა; საგნობრივი წრეებში თვითრეალიზაციის და შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებამ; სერვისს შუშმ ბენეფიციართათვის დროის გამოყენების ოპტიმალურმა მენეჯმენტმა; მატერიალ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო ინფრასტრუქტურის განახლებამ; ორგანიზაციაში უშუალო, კეთილგანწყობილმა გარემომ;

ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელდა შემოქმედებითი პროექტები: „სკოლა-ბანკი“ ხელ-ლი ნათია გაჩეჩილაძე; „მარჯვე ხელები“ ხელი-ლი მარიამ გელდიაშვილი; „წიგნის თარი“ ხელ-ლი გულიკო კანდელაკი; საქველმოქმედო პროექტი: „ბავშვები ბავშვებისთვის“ ბედიანის ბავშვთა სახლში გლდანის ფილიალის მოსწავლეების და მასწავლებლების ჩართულობით.

ყოველწლიურად ტარდება „ლია კარის დღე“, სადაც მოსწავლეები და მშობლები ეცნობიან სიახლეებს, გარდა ამისა შექმნილია სოციალური გვერდი: <https://www.facebook.com/2021-22> სასწავლო წლის ბოლოს გაიხსნა, „საზაფხულო სკოლა „ABC“ რომელიც მიზნად ისახავდა ინგლისურ ენაში სამეცნიერო უნარების განვითარებას სასწავლო-შემეცნებითი აქტივობებით

2022-23 სასწავლო წლის ოქტომბერში, ქართული ხალხური სიმღერების წევრები შეხვდნენ ფოლკლორულ ანსამბლ „გორდელას“. გამართეს ერთობლივი კონცერტი, გორდ-



ლას წევრებმა გაუზიარეს გამოცდილება მოსწავლეებს და გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ყოველწლიურად იმართება ტრადიციული ღონისძიებები, როგორცაა საახალწლო კარნავალები, დედის დღე, ღია გაკვეთილები და შემაჯამებელი საქალაქო კონცერტი „არტ-გაზაფხული“

სამომავლოდ მოსწავლეთა სახლი გეგმავს ახალი სერვისების გახსნას, როგორცაა კომპიუტერული ტექნიკის შესწავლა და პროგრამირება, წყალზე ხატვა, ტანსაცმლის მოდელირება.



საზაფხულო სკოლა „ABC“

აი, როგორი მჭექაფარე ცხოვრებით ცხოვრობენ გლდანელი მოსწავლეები და პედაგოგები. ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, კოლეგებო! დაე, დაფასდეს აღმზრდელთ ამაგი და დიდი ღვაწლი არდასაკარგი!

ბოლოს ვაჟას ოდნავ შეცვლილი სტრიქონებით მოგმართავთ: „მაღლი გეფინოთ მარჯვენაზედა იმ დალოცვილი მაღალი ღვთისა!“

**ბორის მიხველაძე,**  
პედმეცნიერებათა დოქტორი



# ბავშვთა მსწავლელი ამ სკოლას - დღეგანდელი უკეთესია



მისარია ამ სკოლასთან შეხვედრა. ქუთაისზე სიმღერისა არ იყოს, „მისი ნახვა ადვილია, დავინყებთ არის ძნელი“. მაკა გიორგაძე მე-15 სკოლიდან მოდის, სადაც ამ სიტყვების ავტორი 30 წელზე მეტი მუშაობდა.

მაკა გიორგაძე, რომელიც უკვე გამოცდილი დირექტორია, შემოუღია სხვა პიროვნული თვისებებით: კოლეგიალურია, თავაზიანია, რაც თანამშრომლებში მის მიმართ კეთილგანწყობას ქმნის. მას მხარს უმჭვინებს ბრწყინვალე მოადგილე მაია ლომიძე. ძლიერ პედგოგულეტივზე ქვემოთ მოგიხსნათ.

„კადრები წყვეტენ ყველაფერს“ - მთავარი საქმე მოგვარებულია.

ამ სკოლაზე მიმდინარე სასწავლო წლის შედეგების შესახებ, რომელიც ეფუძნება იქიდან მონოდეტულ ინფორმაციას, ქვემოთ მოგიხსნათ.

„მომავლარით ყურნი ესე სასმენელნი და მასპინძელ ექმენით სიტყვასა ჩემსა“ (იოანე საბანისძე).

## პიციტ რა უნდა ვაკეთოთ და როგორ

ამ სიტყვებში იკრება უდიდესი გრძობა პასუხისმგებლობისა, რითაც გამსჭვალულია სკოლის ყველა მუშაკი. იქნებ ვერ დავიცვათ საკითხთა თანმიმდევრობა, მაგრამ შესაკრებთა ადგილის შეცვლით ჯამი არ იცვლება.



„მოხარული ვართ, რომ მე-10 კლასებში საქართველოს ისტორიის სწავლება შემოიღეს.

სახელმძღვანელო ძალიან მოგვონს, რადგან მასში უხვადაა დამატებითი საინტერესო მასალები; წყაროები; თემაზე კარგად მორგებული კითხვები და ა. შ.

საქართველოს ისტორიის სწავლება ცალკე საგნად მე-10 კლასში უაღრესად მნიშვნელოვანია. მსოფლიო მოვლენების კონტექსტში საქართველოს ისტორიის როლის განსაზღვრა, მასწავლებლის დამატებით ძალისხმევას საჭიროებდა, რაც

საკმაოდ არაკომფორტული იყო როგორც პედაგოგისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. ამ სასწავლო წელს პირველად მოხერხდა მსოფლიო ისტორიის პარალელურად საქართველოს როლის და ადგილის ნათლად ჩვენება, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეების აღსაზრდელად (ისტორიის პედაგოგები).

**X კლასში პროექტული სწავლების შინაარსი: მოქალაქეობა;** გლობალური დატობა; ადამიანის უფლებები; სამართლებრივი სახელმწიფო. ვმუშაობთ პროექტებზე: სამართლებრივი კულტურის დამკვიდრება.

**ხელოვნება:** ხელოვნება, როგორც გამოხატვის საშუალება. მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში. დღეს არსებული სახელოვნობო პროფესიები:



შემოქმედება და წარმატებული კარიერა. მოსწავლეს შეუძლია შეიძინოს სათანადო ცოდნა ამ სფეროში (ხელოვნების პროექტების ავტორები).

**საპუნაფისმატყველო-მეცნიერებაჰის აქტივობები:** XI კლასის მოსწავლეებმა ქიმიის პედაგოგის მაია აფხაზავას ხელმძღვანელობით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოისმინეს სალექციო კურსი „ყველაფერი ქიმიის შესახებ“, უძღვებოდა პროფესორი კოკა კაჭარავა, დაესწრნენ პრაქტიკულ ნაწილს, უძღვებოდა პროფესორი ლია თევზაძე.

IX კლასში ქიმიის პედაგოგმა იაგვიშვილიმა ჩაატარა პრაქტიკული გაკვეთილი „როგორ დავადგინოთ ყოველდღიურად გამოყენებული ხსნარების PH“

ფიზიკის პედაგოგმა ლიანა ასათიანმა VII კლასში ჩაატარა პრაქტიკული გაკვეთილი-პროექტი „მყარი საპნის სიმკვრივის განსაზღვრა“

ბიოლოგიის პედაგოგმა მანანა უსენაშვილმა VII კლასში ჩაატარა პროექტი სახელწოდებით „სოკოები“ და „ფოტოსინთეზი“ ხოლო V კლასში კი სახელწოდებით „მცენარე და სინათლე“

ბიოლოგიის პედაგოგმა ნათია მეტრეველმა VI კლასში ჩაატარა შემაჯამებელი გაკვეთილი „კონტინენტები“ და VII კლასში პროექტი „მიკროორგანიზმები“

ბუნებისმეტყველების სამივე საგანში მიიღეს მოსწავლეებმა მონაწილეობა და მეორე ტურში გადავიდა XII კლასის მოსწავლე მარიამ ჭინჭარაული ქიმიამში.



**საზოგადოებრივი მაცნეარაგების კათედრა:** აქ პროექტები წარმატებით განახორციელეს: ისტორიის, გეოგრაფიის, სამ.განათლებისა (მოქალაქეობის) და საგზაო ნიშნების საგნების პედაგოგებმა: **ნ. მაისურაძე, ლ. ზაქარეიშვილი, თ. ნიკოლეიშვილი, ნ. ალუღიშვილი და ლ. გოქაძე.**

ასევე გადაგზავნილია მოთხოვნა საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელ პროექტში მონაწილეობაზე, თემა - „დამოუკიდებელი საქართველო“

ისტორიის პედაგოგმა **ნ. მაისურაძემ** კი ჩვენი სკოლის 101 კლასის ექვსეულს მონაწილეობა მიალბინა ინტელექტუალურ კონკურსში: „რა? სად? როდის?“

23 თებერვალს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ჩაატარა პროექტ-გაკვეთილი: „რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოს მიმართ მე-19 საუკუნიდან დღემდე“.

ნაყოფიერად იმუშავეს ისტორიის პედაგოგმა **ლ. ზაქარეიშვილმა**, გეოგრაფიისა და სამ.განათლების პედაგოგმა **ნ. ალუღიშვილმა** კი კლასებთან ერთად წარმოგივდგინა შემდეგი პროექტები:

კათედრის ხელმძღვანელი: **ნ. ალუღიშვილი**

**უსწო ენაჰის კათედრის აქტივობები:** რუსულ ენაში. მე-5 კლ. დადებითად გავიარეთ საანბანო პერიოდი, წერა, კითხვა აითვისა ყველა მოსწავლემ. დაიზებირეს ლექსები, გამოცანები, მე-5, მე-6, მე-7, მე-9 კლ. დაწერეთ საახალწლო მილოცვები, დავიზებირედ საახალწ. ლექსები, მე-7/2 კლ. გამოუშვით გაზეთი. 3 და 8 მარტს., კალიგრაფიის კონკურსი მე-5 - 11 კლ. ჩათვლით.

აქტიურად ვმუშაობთ ინგლისურ ენაში. წერა-კითხვის შესწავლაზე, 5/1 და 5/2 კლასებში იმუშავეს პროექტზე „ჩემი საყვარელი მწერალი“ და „ჩემი საყვარელი წიგნი“.

**ქართული კათედრა: მზია არსენიშვილი** ჩაატარა მე-6 კლასში „მარიტას გასამართლება“ და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. **მედეა პატარაიამ** - პროექტი თემაზე: „თბილისი და ჩვენი ფიროსმანი“ - მე-71 კლასში და პოეზიის გაკვეთილი - მე-72 კლასში.

**ლელა ჯანაშიამ** - „სცენაზე გაცოცხლებული პერსონაჟები“ - მე-5 კლასში. მე-11 კლასში დისპუტი: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უყანაო“.

**ირმა მესხატიშვილი** - პროექტი თემაზე „ო, ენა ჩემო“ მე-83 კლასში კი ჩატარდა დისპუტი „როგორ წარმოვაჩინო ჩემი ქვეყანა“. **ლელა გლოველმა** - დისკუსია თემაზე: „სიყვარული აგვამალღებს“.

**ხათუნა ებანიძემ** - დიალოგი თემაზე: ბულინგი და თავდაცვის გზები“.

**მათემატიკის კათედრის აქტივობები:** თამარ ნიქორიძე: პრაქტიკული სამუშაო: „მზის შუქით ოთახის განათების ხარისხის დადგენა პროექტი: „სიმეტრია ბუნებაში“ კუბის და პარალელეპიპედის ნიმუშების დამზადება; **ლია ნოზაძე:** პროექტი: „როგორ შეიძლება გამოთვალეთ მანძილი დედამიწიდან რომელიმე ციურ სხეულამდე“.

პრაქტიკული სამუშაო: მასშტაბის შერჩევა და ბინის გეგმის დახაზვა; **ნინო დემურიშვილი:** პროექტი: „ოქროს კვეთა“. პროექტი: პითაგორის რიცხვები; **ვალა ჟივიძე:** სივრცითი ფიგურების



დამზადება; **ლალი სიაშვილი:** პროექტი: „პროპორციული მონაკვეთები“. პროექტი: სიმეტრია ბუნებაში.

**ესთეტიკის კათედრა**  
**ლელია გოქაძე:** გაკვეთილები მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.

მე-3-2 კლასელებმა (დედის დღესთან დაკავშირებით) შექმნეს „ყვავილების თაიგული“

მე-7 კლასელებმა მონახულეს ხელოვნების სასახლე, კულტურის ისტორიის მუზეუმი პროექტი: „რუკაზე ასახული საქართველო“.

ხელთ-ნაკეთი წიგნები.  
მე-4/3 კლასი: ყვავილების კოლაჟი. პედაგოგები: **ლელია გოქაძე და ნანა თევზაძე.**

**მუსიკა:** ჩრდილების თეატრი თემებზე: „სოფლის მაშენებლები“ - 5-1 კლასი **ელენე იმესაშვილი, ბარბარე ნაფეტვარიძე.** „სამი გოჭი“ - 5-1 კლასი ქეთი მღებრიშვილი, მარიამ ჭანკორტაძე.



„ბაჭია“ 5-2 კლასი. **გაბრიელ ჩხაიძე.** „კურდღელი და კუ“ - 5-1 კლასი **მარიამ სხირტლაძე.**

მუსიკის სწავლებას უძღვებიან: **გულნაზი ჯიმშერაშვილი და ნინო აბუაშვილი.**

**სპორტი:** მინიფეხბურთი, კალათბურთი 3X3-ზე, ფრენბურთი - VII-XI კლასებს შორის.

**მხიარული სტარტები**  
უძღვებიან: **გაიოზ ყაჭეიშვილი, ნინო ხუჯაძე და სოსო კვლაძე.**

**დანყვებითების კათედრა:** ჩატარებული აქტივობები და ღონისძიებები - **დამრიგებლები იათამზე ქოსაშვილი, ქრისტინე კამლაძე, მარიამ ახალაძე, ნათია მირუაშვილი, თამარ ახვლედიანი, როზა ჭყუია, ინდირა მანველიშვილი, ნონა სისუაშვილი, დარეჯან კობალაძე, დარეჯან კვიციანი, ვალა ჟივიძე და ინდირა მანველიშვილი** ატარებენ მეტად საინტერესო შემეცნებით-მხატვრულ ღონისძიებებს.

აი, პროექტცენა - ბევრი შესრულებული, ზოგი - შესასრულებელი. შეაფასოს მკითხველმა. მე კი გალაკტიონს მოვიშველიებ: ხომ განვლილია ნაწილი გზისა, სხვა ამოცანა აღმოსავლეთით, როგორ შორსა ვართ იმ ნაპირისგან, პირველი გზით რომ გემზე ავედით!“

**მეორე ნაპირი კი სულ ახლოსაა, მალე გახვალთ მშვიდობით, მე-14 სკოლელებო!**

**ბორის მიშველაძე,**  
საქ. დამს. ჟურნალისტი





# პროფესიონალიზმის ზეიმი და ღონისძიებათა პარსკვლავთცვენა



**პასუხისმგებლობა**, შრომითი კულტურა, პროფესიონალიზმი, - აი, ამ სკოლის ყველა მუშაკის მახასიათებელი. ბედნიერია დირექტორი, როცა ძლიერი პედაგოგიკური ჰყავს და პირიქით.

კარგა ხანია ამ სკოლას უძღვება ერთდროულად, სიახლეებზე ორიენტირებული პროფესიონალი **ნანა ჟორჯიანი**. იგი გადმოვიდა აქ 216-ე სკოლიდან თავისი მდიდარი გამოცდილებით და მალე დაატყო საკუთარი ხელწერა ყველაფერს: „გაუშინაურდა“ ახალ კოლეგებს, მათი ნდობა მოიხვეჭა და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. დირექტორს მხარს უმშვენებს ასევე ნიჭიერი, გამოცდილი მოადგილე **იზა ზარანდია**.

ყველაფერ ამაზე ვისუბროთ ქვემოთ უფრო კონკრეტულად და თვალსაჩინოდ.

\*\*\*

## „მაღლი გფენიათ მარჯვენაზედა!“

**იქნებ** მშრალ სტატისტიკად მოგეჩვენოთ ქვემოთ ფაქტების ჩამონათვალი, რომელიც სკოლიდან მივიღეთ, მაგრამ ყოველი მათგანის უკან, ქვეტექსტებში იგრძნობა შრომითი, ემოციური ძარღვის ფეთქვა.

თბილისის **N67** საჯარო სკოლაში განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით დიდი ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა, როგორც

შინაგანი ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებას, მოსწავლეთა პიროვნული, სოციალურ-ემოციური კულტურის ჩამოყალიბებას, რათა XXI საუკუნის მოსწავლე აღჭურვილი იყოს იმ უნარებით და კომპეტენციებით, რომელიც თანამედროვე გამოწვევებს შეხვდება მომზადებული. ამ მიზნით აქტიურად მუშაობენ კათედრები, შექმნილია კლუბები, რომლებშიც ჩართულები არიან სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები, მათზე მორგებული საჭიროებებიდან გამომდინარე.

ჩვენს თაობაში განათლების მიღებასა და წიგნის კითხვის კულტურის ჩამოყალიბებას დიდი ყურადღება ექცევა, კითხვის კულტურის ჩამოყალიბებაში განუსაზღვრელად დიდია ბიბლიოთეკების როლი და განსაკუთრებით სასკოლო ბიბლიოთეკის. ამ მიზნით მეათეკლასელების გადამწყვეტილებით განხორციელდა პროექტი: **„მეტი საინტერესო წიგნი სკოლას“** პროექტმა მოწონება დაიმსახურა და სკოლის დირექტორის, ქ-ნ **ნანა ჟორჯიანის** უშუალო ჩართულობით, შეიძინეს ათეულობით წიგნი, მათ შორის საბავშვო, თანამედროვე მხატვრული, კლასიკური და ფილოსოფიური ლიტერატურა, ეს პროექტი დიდი სარგებლის მომტანი აღმოჩნდა სკოლისთვის, მოსწავლეებს გაუჩნდათ წიგნის კითხვის ინტერესი და წიგნების სიყვარული, პერიოდულად ტარდება ერთობლივი

კითხვა და განხილვა.(**გ. სახელაშვილი, ხ. ხვედელიძე, თ. ივანელაშვილი**)

პროექტი „განსხვავებული სკოლები“ განახორციელა პედაგოგმა **ლ. საქუაშვილმა** (უცხო ენების კათედრა) მოსწავლეებმა საინტერესო მასალები წარმოადგინეს მსოფლიოში არსებული სკოლების ნაირსახეობაზე: - „**ტყის სკოლა**“, „**მცურავი სკოლა**“, „**სკოლა გამოქვაბულში**“, „**მთის სკოლა**“, „**მინის ქვეშა სკოლა**“, ამ პროექტმა მოსწავლეებს გამოუმუშავა ძიების ინტერესი.

ოკუპაციის კვირეულთან დაკავშირებით, სკოლამ განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი კონსტიტუციის საჯარო კითხვა იყო. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და მოსწავლეებისათვის ძალიან ინფორმაციულიც აღ-



რომ ღონისძიება შედგა და ძალზედ ლამაზი და საინტერესო გამოვიდა.

ამ კვირეულის ფარგლებში სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მოინახულეს ოკუპაციის მუზეუმი. მოსწავლეებმა საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით, გააკეთეს პროექტები და წარუდგინეს დაწყებით და საბაზო საფეხურის მოსწავლეებს. (**გ. სახელაშვილი, ი. ქენჭაძე, ი. ღვინჯილია**)



მოჩნდა. პროექტის მიზანი საბჭოთა ოკუპაციის 102 წლის აღნიშვნა და კიდევ ერთხელ დაფიქრება იმაზე, თუ რამდენად მტრულად განწყობილი სახელმწიფო იყო რუსეთი საქართველოს მიმართ ისტორიულად, ისევე როგორც იმის ხაზგასმა, თუ რაოდენ პროგრესულ დოკუმენტს წარმოადგენდა მეოცე საუკუნის დასაწყისში შექმნილი კონსტიტუცია, რომელიც იმდროინდელი მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ყველა პროგრესულ იდეას ასახავდა თავის თავში. კონსტიტუციით გარანტირებული იყო ქალთა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები; გაუქმდა სიკვდილით დასჯა, ეკლესია და სახელმწიფო გაიმიჯნა. პროცესი ბავშვების მიერ შექმნილი პროექტების ფონზე მიმდინარეობდა, რომლებიც ასევე ძალიან ინფორმაციული იყო და ასახავდა 1921 წლის თებერვალში დატრიალებულ მოვლენებს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას,

22 მარტს განხორციელდა სასკოლო პროექტი ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების აღსანიშნავად. უბანს, რომელშიც ჩვენი სკოლა მდებარეობს, ებრაელთა უბანს უწოდებენ. აქ არის მათი სალოცავი სინაგოგაც. გადმოცემით, მე-20 საუკუნის დასაწყისში ებრაელ თემს ფული შეუგროვებია და ჩვენი სკოლის შენობა აუგიათ. პროექტის ფარგლებში მოუწყო ერთობლივი ღონისძიება. ებრაულმა მუზეუმმა უმასპინძლა 67-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ჩვენი სკოლის მრავალი კურსდამთავრებული მოღვაწეობს ისრაელსა და სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში ჩამოსულები აუცილებლად შემოუვლიან ხოლმე ჩვენს სკოლას და ცრემლმორეულნი კედლებსაც კი ეფერებიან. ლამაზად მოწყობილ მუზეუმში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. სკოლა წარსდგა ძალიან საინტერესო პრეზენტა-


ციით. ყურადღება გამახვილდა ცნობილი ქართველი ებრაელების ღვანლზე საქართველოსა და მსოფლიოში. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნანა ჟორჯიანი** ისაუბრა სკოლის დღევანდლობაზე, **ნანა მამუკელაშვილმა** კი წარმოადგინა სკოლის მატინე და ისაუბრა წარმატებული ებრაელი კურსდამთავრებულების შესახებ. დამსწრეთა წინაშე ცეკვით წარსდგნენ 67-ე საჯარო სკოლის ცეკვის სტუდიის, **„ქართული გენის“** აღსაზრდელები და სკოლის მასწავლებლები: **ნინო რუხაძე** და **ნათია სიხარულიძე**. მათ დიდი მოწონება დაიმსახურეს. მუსიკალური კლუბის, „იების“ წევრების მიერ შესრულდა მუსიკის პედაგოგის **რუსუდან გვეტაძისა** და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **მერი ცარციძის** მიერ შექმნილი 67-ე საჯარო სკოლის ჰიმნი, რომელმაც განსაკუთრებული ოვაცია გამოიწვია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის კურსდამთავრებულმა ებრაელებმა: **ზაირა დავარაშვილმა**, **ციცინო გორელაშვილმა** და **თემურ ყვითელაშვილმა**, რომლებმაც თბილად გაიხსენეს სწავლის პერიოდი და მასწავლებლები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული არის ის მცირე ჩამონათვალი, რომელიც განახორციელა სკოლაში არაფორმალური განათლების კუთხით მეორე სემესტრში. ბევრი საინტერესო ღონისძიება აქვს დაგეგმილი სკოლას, რომელიც განხორციელდება სასწავლო წლის ბოლომდე. როგორც გალაკტიონი იტყოდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღვევლი“. ყველაფერი შემდეგისთვის იყოს! კიდევ **წინსვლა და ახალი წარმატებები თქვენ, 67-ე სკოლელებო!**





# მუდამ მაღალ შედეგებზე ორიენტირებული



მიუხედავად ურთულესი პირობებისა, აქ ბევრი წარმატებაა მიღწეული. ურთულესი! დიახ, აბა, რა არის სამწლიანი პანდემიის ნეგატივი. „ერთ ჭირსა კარზე მომდგარს სხვაც ბევრი წაეკიდება“, წერდა აკაკი. აგერ რუსეთ-უკრაინის ომი მძვინვარებს, იქით საზარელი მინისძვრა მეზობელ თურქეთში. ყველაფერი ერთად სტრესში გვაგდებს. თითქოს ამ ფონზე ძნელია წარმატებებზე საუბარი, მაგრამ „ჭირსა შიგან გამაგრდენ“. კიდევ რამ განაპირობა პოზიტიური პროცესები? რამ და: ჰყავთ შრომისმოყვარე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები. მათ წინ მიუძღვის: ერუდირებული და გამოცდილი დირექტორი **მარინე დემეტრაშვილი**, მისი მოადგილეები - **ზურაბ ჭინჭარაული**, **ეკატერინე ზარნაძე** და სხვა მუშაკები.

იქნებ აქ უადგილო იყოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: დედაქალაქში არ მეგულება მეორე ისეთი სკოლა, სადაც ამდენი ხანი ერთგულად მოღვაწეობდეს ისეთი პედაგოგი, როგორც გახლავთ ქიმიკ-ბიოლოგიის ჩინებული მასწავლებელი **ლიანა აღდგომელაშვილი**. იგი შვიდი შვილისა და ორჯერ მეტი შვილიშვილის აღმზრდელია. ყველაფერი ეს კი სკოლას აქტივში ეთვლება.

არ მინდა წინასიტყვაობა პათეტიკად ჩამეთვალოს, ამიტომ დავეფუძნებ სკოლიდან მონოდებულ ოფიციალურ მასალას.

\*\*\*  
**შესრულებული და შესასრულებელი პროექტები**

პედაგოგები შედგება: ადმინისტრაცია - 7 წევრი, უფროსი მასწავლებელი - 60, წამყვანი მასწავლებელი - 18.

პირველკლასელთა მასწავლებლები: **ანატასია კერესელიძე**, **ირმა ბლიაძე**, **თინათინ მამადაშვილი**, **მანანა ნიკლაური**, **თამარ ნიკლაური**, **მაია ცისკარიშვილი**. პირველკლასელი მოსწავლეების რაოდენობა - 146. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლას ყავდა 13 ოქროს მედალოსანი მოსწავლე.

„ჩემი პირველი კომპიუტერი“ პროექტის ფარგლებში 15 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა ლეპტოპი, გვყავს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ფინალისტი 2 მოსწავლე: **ანა შალაშვილი** და **თამარ ზვიადაური**.

2022 წელს სკოლამ მიიღო მონაწილეობა პროექტში სკოლა - ბიზნეს-ფორუმი, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს მოსწავლეებმა წარუდგინეს პროექტი დასაფინანსებლად.

ასევე ჩვენი სკოლის მასწავლებლების პროექტმა **„წარჩენების მეორე სიცოცხლე“** **ლია გოგორიშვილი** (ინგლისური) და **ლაურა კაველიძე** (გეოგრაფია) მოიპოვა გრანტი.

სკოლაში სისტემატურად ტარდება ადამიანის, ბავშვთა უფლებების დაცვის და ტოლერანტობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას კინგის, კენგურუს ოლიმპიადებზე და ასევე კონკურსში **„ტვინების ბრძოლა“**, სადაც წელს მოვიპოვეთ პირველი ადგილი.

ჩვენი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **თათია გრიგალაშვილმა**, წარმატებით გაიარა გასაუბრება სამგო-



რის რაიონის გამგეობაში და შეირჩა 40 მონაწილეს შორის, მიემგზავრება ბაკურიანში, სადაც ისწავლის პროექტების წერის სტრუქტურას და წარადგენს ჩვენი სკოლის საჭიროებებზე მორგებულ პროექტს.

ასევე 2022 წლის ოქტომბერში მივიღეთ ხარისხის ნიშანი საერთაშორისო პროექტისთვის - „ჭურ ჰაპუყ ფუტურე.“

2023 წლის საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე ძიუდოში, 81 კგ. წონით კატეგორიაში, ჩვენი სკოლის მოსწავლე **გიორგი ბენდელიანმა** დაიკავა პირველი ადგილი.

რაც შეეხება სამინისტროს გადამწყვეტილებას საქართველოს ისტორიის ცალკე სწავლებასთან დაკავშირებით, ვთვლით, რომ ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებას და მივესალმებით.

მშრალი ციფრებია, არა? გეთანხმებით, აბა, გაი-აზრეთ, რამდენი ფიქრი, შრომა, ოფლის ღვრა დგას მის უკან.

გამარჯვება თქვენ, მშვეილობა თქვენ, უსაფრთხო გარემო თქვენ, მაღლობა თქვენ, 107-ე სკოლელებო!

მაღლობა იმისთვის, რომ თანამშრომლობით 95 წლის მასწავლებელთა გაზეთთან, მხარში უდგებართ და ეხმარებით.

**პორის მიხველაძე,**  
 პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

## იუმორის კუთხე

# ტესტები, რომლებიც ღრმად დაბკაფიქრებს

### უკანდახევა

**დამარცხება უკანდახევაა!**  
 - ამას გაჰყვირის ვინმე სესია.  
 ბევრჯერ კი თურმე გამარჯვებაა უკანდახევა, ბრძენთა წესია.  
 - დიდგორთან დიდი დავითი ხომ გახდა ქართველთ მესია?  
 - ამბობდა დაბეჯითებით ისტორიკოსი მესხია.  
 უკანდახევით ხომ სუვოროვმა მყის გადალახა მან სენ-გოტარდი.  
 უკანდახევით კი კუტუზოვმა ხომ დაამარცხა თვით ბონაპარტი.

### ბარტყის იგავი

**ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემა!..**  
 - აჰა, უკან მიმაქვს კანონი.  
 - აქციის პატიმრები გოუშვი!  
 - აჰა, ხომ გავუშვი.

- ახლა დასაჯე პოლიციელნი!
- დავსჯი.
- ახლა მიხო გოუშვი!
- გავუშვებთ.
- მერე თავად გადადექით!
- რა დავაშავეთ, ბატონო?
- ის დააშავე, რომ შენი შეჭმა მინდა, „მაშა, მაშა, ასე ვიცის ჯაყომა!“

### ხაჭაპური

- **შალვა** ხაჭაპურიძე, მაგ ჩანთაში რა გიძევს.  
 - ცხელ-ცხელი ხაჭაპურია, უყვარსო ნიკოლოზის ძეს.

### ორი სიზმარი

**ეს** რა ვნახე მე სიზმარში „გირჩხარტიის“ მწვავე ალი, ჩახხადეს შარვლები და რუსთ ანახეს უკანალი.

შეეშინდათ რუსებს, იმწამსვე მოკურცხლეს. ეს სიზმარი, ერთობ ამიხდინე, ღმერთო.

**აი**, სენატორი, მავთულხლართან მდგარი, რუსებისკენ მუქარების მიაქვს ნიაღვარი. გვერდით უდგას ელჩი, არანაკლებ ლენჩი, შეეშინდათ რუსებს, უმაღვე მოუსვენს. ეს სიზმრები ერთობ ამიხდინე, ღმერთო!

### სინამდვილე კი...

**აქციებისას** არის ბაზარი ხომტარიასი, გირჩის, ხაზარის, იქით კი - ხაბეიშვილი და მოლოტოვის ხანძარი.

### გიხაროდენ!

**გვეგონა** ევროკავშირის რიგით სტუდენტი ვიყავით. ასპირანტი არ ვყოფილვართ? სულ სიხარულით მოვფრინავთ.

### ვინ მოიგო?

**ერთმანეთს** ეჩხუბებოდნენ რძისთვის ისა და ბოლოკა, ამასობაში ფისუნამ „მოლოკო“ სულ მთლად მოლოკა და ხახამშრალი დატოვა ვინმე ისა და ბოლოკა.



# მთავარი ორიენტირი - მოსწავლე!



ასეა: სადაც გინდა იყო, რა გინდა რას ეწეოდე, როცა იქნება (დრო მოუწევს, მომნიშვნება), მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და სწორედ იმ ადგილზე, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგაგვლინა ამქვეყნად მამაზეციერმა. ზოგი იწინააღმდეგება ამ მადლს, ზოგი - ვერა და მთელი ცხოვრება ღობე-ყორეს ედება, უკვე ვეღარ პოულობს თავის ადგილს, მონოდეებას.

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ხელოვნების მე-5 სკოლის დირექტორს, ლვანდომოსილ ხელოვანს, ღირსების ორდენის კავალერს, ქალბატონ მარინე არაგვიშვილს ამ 55-ოდე წლის წინათ მოჰკიდა უხილავი ხელი მისმა ანგელოზმა და ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე განამსესა.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. წყალმა კი ჩაიარა, მაგრამ, ქალბატონ მარინეს ხელმძღვანელობით, „ქვიშანი“ - მოსწავლეთა უამრავი ჯილდო, სიგელი, ლაურეატობა ხომ დარჩა და დარჩა, რითაც სრულიად დამსახურებულად ამაყობს ხელოვნების სხვადასხვა იდუმალების წვდომის ეს ტაძარი.

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზიდება, განგების ნებით, ერთი ლტოლვით, ერთი გზებით დამუხტული ადამიანები მიიზიდებიან,



დულაბდებიან და ასე ერთობლივად მიისწრაფიან მიზნისაკენ.

სწორედ ასეა ხელოვნების მე-5 სკოლაში და ზემონახსენები მრავალი წარმატება მისი ყველა პედაგოგის, ყოველი მუშაკის ღვაწლი და დამსახურებაა.

მართლაც, როდენი ტაქტი, ნიჭი, პედაგოგიური ოსტატობა და გულისხმიერება, ყმანვილების შინაგანი ბუნების წვდომის უნარია საჭირო, რომ სათუთად ამოაწვდინო და გამოამზურო ყოველი მოსწავლის არსიდან ღვთით ბოძებული ნიჭი, სწრაფვა და, სწორ კალაპოტში ჩაყენებული, თანდათან, მიზანმიმართულად ატარო ხელოვნების ზეალმტაცი სამყაროს ერთობ რთულ, მაგრამ საოცრად მადლიან გზაზე.

ასეთი აღსაზრდელი კი სკოლას 320 ჰყავს. ფერი-ფერსაო, ნათქვამია, და დირექტორს სწორედ რომ შესატყვისი, საქმის მცოდნე და ყმანვილების ერთგული სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ლალი ბეჟანიშვილი უდგას გვერდში, ვინც კოლეგიალურად მუშაობს კოლექტივთან.

რადგან სკოლის ყველა წარმატების ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძელებს სიტყვას, თეზისურად მაინც მოვიხსენიოთ და იმათაც მივაგოთ მცირე პატივი მაინც, ვისი დამსახურებაცაა, რომ ყმანვილები ასე ხარისხიანად ეზიარებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგს, ვისი ძალისხმევითაც უფაქიზდებათ სული.

საფორტეპიანო განყოფილების წამყვანი პედაგოგებია არიან: მარიამ გორდულაძე და ლალი ბეჟანიშვილი. მათი მოსწავლეები, შესაბამისად, ანამარია ჯიქიძე და ნათია ჯაგავაძე იმდენად წარჩინებულები არიან, რომ მათ სწავლას მერია აფინანსებს.


სახელოვნების წარმატებებში აშკარა პედაგოგების: ლალი ბეჟანიშვილის, ნინო ბურდიაშვილის, მარინე გაბაშვილისა და თამარ გუგუშვილის ღვაწლი. მათი მოსწავლეები: ვახო კაპანაძე, საბა ჩაჩავა, გიორგი ხუციშვილი, გიორგი მელაძე, გიორგი ჩაჩავა და ანასტასია შატვეროვი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით გა-



მოირჩევიან. ლალიმ წარმატებით დადგა სპექტაკლი „ვერის უბნის მელოდიები“ (კონცერტმასტერი-თამარ გუგუშვილი, ქორეოგრაფები მარინე ამირაჯიბი და ნანი სიხარულიძე). სპექტაკლის ჩვენება გაიმართა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში, მ. ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“, საქართველოს კარიტასში, კომპოზიტორთა კავშირში, მერი დავითაშვილის სახელობის ფესტივალზე. მარინე გაბაშვილმა დადგა მუსიკალური სპექტაკლი „შობიდან - აღდგომამდე“. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად სკოლაში, „არტ-პოლსა“ და „კარიტასში“, მისი მოსწავლეები: მარიამ ჩალაური, გიორგი მელაძე და თამარ გუგუშვილის მოსწავლე მარიამ შატვეროვი შალვა დავითაშვილის სახელობის კონკურსში მონაწილეობდნენ და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ქართულ სალხურ საკრავთა განყოფილებას 2 მასწავლებელი - სალომე ბუაძე და თამაზ ალიმბარაშვილი ემსახურება. გამოირჩევიან სალომე ბუაძის მოსწავლეები: მწელიშვილი ლუკა, ხორგუაშვილი დავითი, შუკაკიძე სერგი და შეშაბერიძე გიორგი.

სახვითი ხელოვნების განყოფილებას ინგა ფრანგულაშვილი უძღვება. წარმატებულები არიან მისი მოსწავლეები: მართა და თეკლა მახვილაძეები, უჩანოშვილი ვლადიმერ, კიკვაძე ელენე, ჩეკურიშვილი ანასტასია, გორგაძე ლიზი, თავაძე ანანო, მეტრეველი მარიამი, გოგოლაძე დავითი, გეგულაშვილი გიგი, ვაჭარაძე ნუცა, ახალაია თინათინი, ვახტანგაშვილი ანდრია, დავით და აკაკი ბაზაყვილი და მარია პეტროვა. სკოლა სისტემატურად იმართება გამოფენები სკოლაში და ყოველწლიურად მონაწილეობს გამოფენაში „მე მიწა საქართველო მიცნობდეს“, სადაც მოსწავლეები სიგელებით დაჯილდოვდებიან.



ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელები ზაზა ბრეგვაძე და მარინე ამირაჯიბი არიან. სხვა წარმატებებთან ერთად, ა/წ. 25 მარტს ქ. მცხეთაში რესპუბლიკურ ფესტივალში მონაწილეობისათვის ანსამბლი „არმაზი“ პირველი ადგილის დიპლომით დაჯილდოვდა და მიწვეულია იტალიაში ფესტივალში მონაწილეობისათვის. აღსანიშნავია მოსწავლეები: ფრიდონაშვილი მაიკო, სტეფანიშვილი ნიკოლოზი, ცხოვრებაძე მურთაზი, ლომიძე ლუკა, ბეკოშვილი ბერდია, ხაჭაია გვანცა, ფრიდონაშვილი მარიამი, ალავეძე კაკო, ბაბილოძე თამარი.

თანამედროვე სპორტული ცეკვის განყოფილება ნანი და სალომე სიხარულიძეებს აბარიათ. ქალბატონი ნანი საქართველოს ჩერლიდინგის ნაკრების მთავარი მწრთენელია. მისი მოწინავე მოსწავლეები არიან: ხრიკული მია, ავსაჯანიშვილი მართა, ბარამიძე თათა, მახარაშვილი ელენე, რანგინ ნინო, გორგაძე ლიზი, ბურულავა ანასტასია, ნიკლაური ელენე, კუპრეიშვილი ბარბარე, გუგუშვილი ნინო, გუგუშვილი ნანა, კაპანაძე ლილე, ტატიშვილი ეთერი, შუბითიძე ნუკი, ოლეინიკი ბარბარე, კერესელიძე ბარბარე, ქველაძე მარიამი, რანგინ მარიამი, მშენიერაძე ბარბარე, კვანციძე მარიამი, შანიძე სალომე, ქუშაშვილი ნუკი, ბაქრაძე თეკლა, სამაშვილი ლინდა, ებრაელიძე ვახტანგი, ბურჯანაძე ელენე, ლელაშვილი ანასტასია, ახალაია თინათინი, ავსაჯანიშვილი ბარბარე.

ქალბატონ სალომეს გულს უხარებენ: ბერულავა იოანე, ბაქრაძე ბარბარე, ასანიძე სერგო, ბუტიკაშვილი მარიამი, გაბარაშვილი ბარბარე, გაბარაშვილი ამირანი, ვაზაგაშვილი ლიზა, ბიბილური თათია,



ბუნებრივად თეკლა, ახალაია ანა, ფრანაშვილები იაკობი და ილია, ჩუჟაიკინი ანასტასია, ჯაჭვლიანი ბარბარე, რურუა ნიკოლოზი, ქუშაშვილი ნიაკო, გოგიტიძე ენი, მახვილაძე თეკლა, გულიაშვილი თეკლა, ტატიაშვილები ანასტასია და ბარბარე, ბალაშვილი მარიამი, ხატიაშვილი ანასტასია, შუკაკიძე ელისაბედი, კაბერაშვილი კატო, ნიკლაური ანა, აბულაძე ბარბარე, ინაშვილი ნინო, ბინაძე მარიამი, სვანიძე ლილე, მწითური ნინა, გორგაძე ბარბარე, თვაური ანასტასია, კაპანაძე გვანცა, მაცაბერიძეები მამო და ტასო, რაზმაძე ანასტასია, ცუცქერიძე ელისაბედი, ბექაური თეკლა, ასანიძე ნათია, ბლუაშვილი ბარბარე, სამაშვილი სალომე, მადურაშვილი ნინო, ნაეროზაშვილი ანდრია, ხატიაშვილი ნიცა, გურჯიანი ანა, სარალიძე ანასტასია, ბურჭულაძე ნიკოლოზი, მადურაშვილი სალომე.



სახელდობრ, რით უხარებენ გულს ამ პედაგოგებს მათი აღსაზრდელნი? 2019 წელს ქ. ერევანში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვეს. შარშანწინ, დეკემბერში თბილისში გამართულ შეჯიბრში - „საქართველოს თასი ჩერლიდინგში“ (9-11 წლამდე ასაკში) პირველობა არავის დაუთმეს. 2022 წლის ივნისში - ცეკვის ოლიმპიადა - „ჩერლიდინგის სარეიტინგო ტურნირში“ (ასაკი 7 - 9 წლამდე; ასაკი 12-14 წლამდე) კვლავ იპირველეს. იმავე წელს - ქ. ბათუმი ჩერლიდინგში გამართულ „აჭარის ღია ჩემპიონატში“ (ასაკი 7-14 წლამდე და ასაკი 12 - 15 წლამდე) ისევ და ისევ ჩემპიონები გახდნენ. 2022 წლის დეკემბერში - თბილისი, „საქართველოს ჩემპიონატი ჩერლიდინგში“: მოსწავლეებმა 17 ნომინაციაში მიიღეს მონაწილეობა და - 12-ში მოიპოვეს საპრიზო ადგილები. ხოლო პირველები 9-11 წლამდე და 12-15 წლამდე ასაკში იყვნენ. სოლო მოდერნი: I ადგილი - მართა ავსაჯანიშვილი, II ადგილი - მია ხრიკული, III ადგილი - თათა ბარამიძე. ტრადიციისამებრ, სასწავლო წლის ბოლოს იგეგმება შემაჯამებელი ღია კონცერტები სკოლაში, „საქართველოს კარიტასში“, მთაწმინდასა და „არტ-პოლში“. კარგია ხელშეწყობა. ჰოდა, მერია 206 სოციალურად დაუცველს აფინანსებს, სკოლა კი სოციალურად დაუცველ ყმანვილებს ასწავლის საესტრადო ვოკალს „საქართველოს კარიტასში“. ზემოთ აღვნიშნე სკოლის წარმატება მისი ყოველი მუშაკის მონდომებული, მიზანმიმართული მუშაობის შედეგია-მეთქი. ამიტომ აუცილებლად აღსანიშნავია საქმის მწარმოებლის მედეა ყირმისაშვილის დამსახურება სკოლის გამართულ მუშაობაში. \* \* \*



## სახელდობრ, რით უხარებენ გულს ამ პედაგოგებს მათი აღსაზრდელნი?

ცოტა ხანში კი უკვე დანყნარებული ხმა მოესმა დიტოსი.

- ეი, შენ, გესმის ჩემი? ფული გამოგზავნე ხვალ, კაპიკი არ არის სახლში, საიდნაც გინდა იშოვე და ხვალ აქ მქონდეს, - მუქარის ხმით ეუბნებოდა. დაამთავრა ამის თქმა და ტელეფონი გათიშა.

დიდხანს ტიროდა მარიამი და როდის, როდის ჩაედინა, რომ მალეობდნენ დაურეკა, უცებ წამოხტა ფეხზე, რადგან შვიდ საათზე უნდა გასულიყო სახლიდან.

განათლებული და კულტურული, სიკეთით სავსე ქალი იყო მარიამი.

პატიოსანი და ალაღ-მართალი შრომით შოულობდა ოჯახისთვის გასაგზავნ ფულს, ეს არავის ესმოდა, ვინ ხედავდა როგორ იღლებოდა და როგორ ძლივს მოდიოდა დაღლილი სახლში, ერთი ღმერთი უყურებდა მარტო და ის ქართველები, რომლებთან ერთად ბინაში ცხოვრობდა. ზოგჯერ ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა ახალგაზრდა ქალს.

ასე გადიოდა დრო. საბუთები გაუფუჭდა და ექვსი წელიწადი შვილების უნახავად ძლივს ძლებდა, მაშინ არ იყო ინტერნეტი, რომ შორიდან მაინც ენახა ისინი.

ოთხი შვილი ჰყავდა მარიამს: ორი ბიჭი და ორი გოგო. ყველა დაოჯახებული იყო, ერთი ბიჭის გარდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა მარიამმა ემიგრანტობა, როცა მისი ბიჭი ინსტიტუტში ჩაირიცხა. არ ჰქონდათ არაფრის საშუალება. ოთხმოცდაათიანმა წლებმა მაგათ ოჯახსაც დაატყო დალი. სწორედ ამიტომ გადაიხვეწა ეს წყნარი, უთქმელი გოგო, ასე შორს სახლიდან.

ძალიან გაუჭირდა უცხო ქვეყანაში მაგრამ გაძლიერდა, ძალ-ღონე მოიკრიბა შეილებს და ოჯახს ვჭირდებო, თავდახრილი დადიოდა და შრომობდა, მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა და ტანჯვისა.

ცოტა ხანში ენაც იოლად ისწავლა, ყველა ოჯახში ნება დაიმსახურა. მარიამი ცდილობდა, მეტი ემუშავა, თავისუფალი დრო არ ჰქონოდა, რომ ცოტა მეტი აელო და შვილებისთვის გაეგზავნა.

ამდენი წლის მერე, ერთ დღეს, გადანყვიტა ნასვლა მშობლიურ საქართველოში, გული სიხარულისაგან გამალებით უცემდა, რომ შვილებსა და შვილიშვილებს მალე ჩაეხუტებოდა და დადგა ეს ნანატრი დღე, ჩავიდა სახლში მშვიდობიანად. ჩაეხუტა ოჯახს, რაც

ჰქონდა დაურეკა მათ. საჩუქრებიც ჩაუტანა და მოიტოვა მხოლოდ გზის ფული.

გახდა შეუძლოდ მარიამი, მოხვდა საავადმყოფოში, ის მოტოვებული თანხაც იქ დახარჯა, არადა უნდა ნასულიყო, უნდა ნასულიყო. მესამე დღეს უნდა ნასულიყო, რომ თქვა ბილეთის საყიდელი ფული არ დამრჩა და მიყიდეთო, აუტყუეს ვაი და ვიში, სად გვაქვს, სად მოდიოდი თუ არაფერი გქონდა, ისევ გაჩუმება არჩია, დაურეკა მის ერთ-ერთ დიასახლისს და სთხოვა გზის ფული, იმ დღესვე მიიღო თანხა, ჩაალაგა თავისი ჩანთა და ისე წავიდა, არავის უკითხავს, საიდან იშოვა და როგორ და რითი მიდიოდა.

ჩავიდა თუ არა მარიამი, მეორე დილასვე შეუდგა მუშაობას.

ის ზედმინეებით თავმდაბალი და ყველას დამხმარე იყო, არასოდეს მიუტოვებია გზაში, გაჭირვებაში მყოფი ქართველი, რაც შეეძლო ყველას ეხმარებოდა, ცხოვრობდა და დადიოდა უფლის დახმარებით.

გავიდა ათი დღე ჩასვლიდან, სამუშაოზე მარიამი, მეთვრამეტე სართულზე ფანჯარაზე არის გადაკიდებული, ესმის ტელეფონის ხმა. ძლივს ჩამოვიდა და არც კი დაუხედია ნომრისთვის ისე უპასუხა: გისმენ, ესმის ნაცნობი ხმა:

- ორი კვირაა ნასული ხარ, რატომ არ ავხავნი ფულს, რამდენი ჭირდება ოჯახს, არ იცი? - და მოაყოლა ისევ გულის ამრევი სიტყვები.

- ჯერ არაფერი მაქვს, როცა მოვუყრი თავს, მაშინ გამოვავხავნი, - უპასუხა წყნარად მარიამმა. უცებ გაუთიშა ტელეფონი და აცრემლბუქმა გააგრძელა მუშაობა.

ვინ იცის, რამდენი ღამეები გაუთენებია მარიამს დამატებითი სამუშაოების გამო, ვინ იცის, რამდენი ტკივილი გადაუტანია, რამდენჯერ შეცივინა, რამდენჯერ ავადმყოფს უმუშავია, ეგონა ამით კარგს აკეთებდა, როგორ იფიქრებდა, ქმარი და შვილები მადლიერები რომ არ დარჩებოდნენ მას. ახლა კი ხვდებოდა ახალგაზრდა ქალი, რომ ის მარტო ფულის გამგზავნი იყო და მეტი არავინ, გული დაენვა, ვერავინ ცნობდა, ბინაში ისე შეიცვალა, როცა ყველა ერთად იყვნენ გოგოები, ის გავიდა უხმოდ, ლაპარაკი არ უნდოდა, ყველას უკვირდა, მაგრამ კითხვებს სულ თავს არიდებდა, არ უნდოდა ოჯახის საყვედური ვინმესთვის ეთქვა და ამიტომ ყველა გაჩუმებული იყო.

დაიღალა მარიამი...ძალიან დაიღალა... ვერავის გააგებინა, რომ იოლი არ იყო სხვისი ნაგვის ხვეტა და ფულის შოვნა, სულ თხოვდნენ. რაც მეტი მისცა, მეტი მოსთხოვეს. ვერ გაუძლო ახალგაზრდა ქალის გულმა, რომელსაც თავისთვის ერთი ახალი წინდაც კი არ ეყიდა, ვერ გაუძლო უმადლოობას, ემიგრანტობას.

თან რომ არ გელიძებოდა და უნდა გაიღიმო. ბოლო დროს ძალიან დადარდიანდა მარიამი, ვერ გაიგო ვერავინ რას ფიქრობდა, ძალიან ახლო მეგობრებმა ჰკითხეს, რა გჭირს მარიამგეთხარი, იქნებ დაგეხმაროთ რამეში, არა გოგოებო, არაფერიო უპასუხა და დაწვა.

კვირა დღე იყო. დასვენება აიღო მარიამმა და ეკლესიაში წავიდა, ძალიან მორწმუნე გოგო იყო, დღე და ღამე ლოცულობდა, იმ დილასაც ისე მოიქცა, ვერ იყო კარგად. ჩაჯდა ავტობუსში და ტაძარს მიაშურა.

შევიდა თუ არა შიგნით, ნაცნობი გოგოები მიესალმნენ, უხასიათობა რომ შეამჩნიეს, ჰკითხეს მიზეზი, პასუხი ასეთი იყო - ნუხელ ვერ დავიძინე და თავი მტკივაო. მერე მათ გაეცალა, მივიდა, ყველა ხატთან დაიჩოქა, ბოლოს ღვთისმშობლის წინ დაიჩოქა, დაანთო სანთლები და ატირებული ჩურჩულვდა რაღაცას. ეს არ გამოპარვიათ მის მეგობრებს, მერე კი წირვის დამთავრებას არ დაელოდა, ისე დატოვა ტაძარი და გააგრძელა გზა ისე, არც კი გაუგონია მეგობრების ძახილი. მიყვნენ უკან ორი გოგო, რადგან მარიამი ასეთი არასოდეს ენახათ, შეეჭვდნენ და მისდევდნენ შორიდან მას.

მიღის მარიამი ზღვის სანაპიროსკენ და არც იხედება უკან, ვინ იცის, რას ფიქრობ-

და ეს საოცრად ლამაზი ქალი, იქნებ ერთი შვილის ხმის გავონებას შეეჩერებინა, ან ახლობლის, მაგრამ ასეთი არავინ გამოჩნდა.

ქალი ნაპირთან მივიდა. ერთი შეჩერდა, აქეთ-იქით გაიხედა, მერე ზეცაში ააპყრო ხელები და ზღვაში გადახტა, ეს ისე უცებ მოხდა ქალები სანამ გონს მოეგნენ, მარიამი არსად ჩანდა. იყვირეს, იკვილეს, მაშველებს დაუძახეს, მაგრამ ზღვა იმ დღეს ისე ღელავდა, გეგონებოდათ, რომ ის მარიამს ელოდებოდა და მიტომ იყო აბობოქრებული.

ერთი თვე ეძებეს, მაგრამ ვერავინ ნახა ის.

ასე დაასრულა სიცოცხლე ამ უსამართლოდ განწირულმა ქალმა და ზღვის ფსკერზე სამუდამოდ დაიღობინა.

P. S. ცუდია, როცა თავს სწირავ ოჯახისათვის და არ გიფასდება, ეს ყველაზე დიდი გულსატკეპნი. უმადურობა ყველაზე დიდი ცოდვაა ამ ქვეყანაზე... ყველა ემიგრანტს ვეტყვოდ: ნუ იქნებით ასეთი თავგანწირულები, თორემ ერთი დღე რომ ვერ შეძლოთ და ფული ვერ გაგზავნოთ, ასე გეტყვიან, რა გაგიკეთებიაო. იფიქრეთ თქვენი სიბერიისათვის თორემ, როცა მუშაობა გაგიჭირდებათ, ყველას დაავინყდებთ, მაგათთვის რაც კი გაგიკეთებიათ. ჭიქა წყალს დაგამადლიან, სამწუხაროა, მაგრამ ეს სიმართლეა.

### მუზა

**მუზას** ნუ გამიქრობ, ღმერთო, მე ხომ ამით ვცოცხლობ დღემდე. ისევ მინინამძღვრე ჩემო მარტო არ დამტოვო ველზე.

გული სიყვარულით სავსე ყველას მივუძღვენი ფრენით, ნულარ გამიცლები მუზავ... მოდი ჩამკიდე ხელი.

ჩემი კალამი წერდეს, ისევ სიყვარულზე უხვად. ბოროტებამ და შურმა არ შემიღალა მუზა.

ხოდა ამიტომ ღმერთო... გთხოვ ნუ გამიქრობ ფიქრებს, სიყვარული და სიკეთე რომ დიდხანს ვარიგო კიდევ.

### ქარი და წვიმა

**დღეს** გავიხედე ქარი და წვიმა ებრძვის ერთმანეთს, შევეყვარებოვართ, შეუმჩნევიათ მარტო რომ დავრჩი...

გავედი გარეთ და რას ვხედავ, ო, ღმერთო ჩემო, ქარი მე ნახად შემომეხვია ყელზე შალივით.

წვიმა გაბრაზდა, დამასველა ამაკანკალა, მან კი ასე გამობხატა გრძობები მისი...

მაგრამ იმ წუთში ქარმა ისე თბილად დაჰბერა გამათბო და დამავიწყა სისველე წვიმის.

მერე ისევ გაგიჟდა და ღრუბლებს ეძგერა, მიმოფანტა დიდი ბრძოლით ცაზე რაც დარჩა.

გავიხედე უცებ ზეცა მზემ გაანათა, ქარი ნახად მეალერსა ფიქრიც გაფანტა.

მერე ცაზე ცისარტყელამ ცა ფერებში მიმოქარგა, მე კი მისი სილამაზე გულზე სანთელივით დამადანა.

მერე გულმა გამალებით ფეთქვა დაიწყო...

გამიფანტა მარტოობა დარდი რაც იყო.

ამ ყველაფრის ნახვის მერე ნილად საოცარი გრძობა მერგო... რა კარგია მარტო რომ ხარ და ყველა - წვიმა, მზე და ქარი ასე შენთან რომ მეგობრობს.

### სიყვარული

**მხოლოდ** სიყვარულს ძალუძს ერთობა, რომც მოკვდეს მაინც იცოცხლოს იყოს. იხაროს სხვისი სიხარულით და სიკეთით გულები ყველასთვის ივსოს.

მხოლოდ სიყვარულს შესწევს უნარი, გასცეს და შიშველი მაინც ჰყვოდეს, ძულდეთ, დევნიდნენ, მაგრამ ის მაინც იყოს ცოცხლობდეს ყველას ჰყვარობდეს.

ვერ ეფერები, შენ მას ახლოდან... მაგრამ გულით ხომ ის სულ შენთანაა სწორედ ეს არის ნამდვილი გრძობა მასთან არ ხარ და მაინც უყვარხარ.

მხოლოდ სიყვარულს ძალუძს ერთგულება... ის ხომ სამყაროს ფერებში ხატავს, სწორედ ეს არის ნამდვილი უკვდავება როცა შეიცნობ შენს თავში ამას.

სიყვარული ყველაფრის აწმყო და დასასრული ჩვენი სულების. უფალი არის თვით სიყვარული და აღმავსებელი ჩვენი გულების.

### არეული დედამინა

**არეულია** ეს დედამინა არავის არ უნდა გაიგოს სხვისი, ზღვას კი ღრუბლები დასტრიალებენ აღარსად მოჩანს ცაზე მზის სხივი.

ჩამუქებული ზღვა კი ბობოქრობს... მოაქვს და ანგრევს ქალაქის ჯებირებს, გაუმართია მას ომი დიდი... მგონი წალეკავს მალე ნაპირებს.

უფალო, ნულარ აყოვნებ, მოდი, თორემ ბობოქრობს მეფობს სატანა, ჩვენი იმედი შენა ხარ მხოლოდ ძალიან ძნელია ამდენის ატანა.

შენ დაანყნარე ეს დედამინა მოგვიტევე და შეგვიხედე ცოდვები... მჯერა მომავალს აღარ განირავ, მჯერა, რომ მაინც შეგეცოდებთ.

ბობოქრობს ზღვა და ბობოქრობს მინა ზოგან იწირავს სიცოცხლეს ზავშვების, უფალო, შენ გთხოვ, ნუ გავვიმეტებ ნულარ შემოსავს სამყაროს ძაძვებით.

### ჩემი სამშობლო

**მიყვარს** მე შენი ამაყი მთები, ჩემო სამშობლო, მთებიდან გამომხეთქილი ჩანჩქერები. თერგის ხრილი გამშავებული, ნაპირებს რომ ასკდება მღვრიე ფერებით.

მე მიყვარს, უშბას მყინვარწვერი... მიუსავალი, დღემდე ამაყად მდგარი. მიყვარს, ენგური რომ მიგორავს და შვე ზღვას რომ ერთვის დასაკარგავში.

მიყვარს ჩემებურად, ყვირილს კვილი როცა მისი ხმა, შიშის ზარსა გეცემს. და წყნარად მოთამაშე ძვერულა მიყვარს... სიმშვიდით ჩვენს გულს რომ ავსებს.

არა არ მინდა უცხო ქვეყნის მე ცის სილურჯე და არც ზღვა მინდა, თუნდაც წყნარი, არცა ღელავდეს, ჩემო სამშობლო, შენს სიყვარულს გულში ვინახავ, რადგან რომ მოვალ, მინდა გნახო გაბრწყინებული, მზისებრ ელავდე.

სალოცავია ჩემთვის, ჩემი სამშობლო, მე რომელსაც ვერასოდეს ვერ შეველევი. უფალო ჩემო, გთხოვ, დამილოცე ჩემი ქვეყანა შენ დაიფარე, ეს სამოთხე ნუ შეველევი.



# ნადეჟდა ნესტოროვნა

წონა ჯანაშია



**ნადეჟდა ნესტოროვნა** - დალანდავდნენ თუ არა ჩურჩულს ინყებდნენ... ის კი მოდიოდა ჰოლოკოსტის მსახიობივით, ზეამართული და ლამაზად ჩაცმული, დახატული ტან-ფეხი ჰქონდა, ვარცხნილობა მუდამ საუკეთესო, ტუჩები ბრონეულის ყვავილისფრად უღვიოდა, ლოყებიც, რაც მის მკაცრ გამომეტყველებას ათბობდა და აკეთილშობილებდა. ფრჩხილები მუდამ ლაქნასმული და მონესრიგებული, ფეხსაცმელები - მუდამ კლასიკური ეცვა... რუსულს გვასწავლიდა რუხის საჯარო სკოლაში... და ძალიან კარგადაც...

სკოლაში მოთხოვნის საფუძველზე გამოცხადებული ფინურ სახლში დააბინავეს, ჩვენს ახლოს, ჩვენგან მარცხნივ, ერთი სახლის შემდეგ. თავისუფალ დროს, მარტოობის გასაქარვებლად, საღამოსპირიდან გვიან ღამემდე უფრო ჩვენთან იყო ან გვერდით მეზობლებთან.

ჩვენთან თავს თავისუფლად გრძნობდა, რადგან არავის სიტყვა არ დასცდებოდა მისი არ მოსანონი. მუდამ მოჰქონდა ჩემი და ჩემი ძმების სწავლის ამბები, ერთ შეცდომას არ გაპატიებდა, სანამ არ გამოასწორებდა, სულ გამეორებინებდა. გაკვეთილს ბოლომდე ვინ გასწავლებოდა, პირველი შეცდომისთანავე აჩერებდა მოსწავლეს და... ასე დაგროვებული შეცდომების გასწორებას ვანდომებდით დიდ დროს... ერთმა ბიჭმა „ბოროდინო“ ვერ გამოთქვა სწორად ვერაფრისდიდებით, ნესტოროვნა გაბრაზდა: „- დურაჟ! ბორო იქნები მუდამო“... ბევრისთვის წნელიც უთავაზებია, მაგრამ მისგან განაწყენებული მაინც არავინ მინახავს. მახსოვს, რა ოვაციით უყვებოდა დედას, შენმა ბიჭმა, ლადომ დღეს რომ „ვოლკ ნა პსარნე“ თქვა ზეპირად, უკეთესად შეუძლებელიაო... მოსწავლეებს ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შეგვაცვარა რუსული ლიტერატურა, რუსი პოეტები და მწერლები: **პუშკინი, ლერმონტოვი, მაიაკოვსკი, ესენინი, ტოლსტოი, კრილოვი...** სუფრაზე რაც არ უნდა გამოგეტანა, ყველაფერზე გადასარევიო, - ამბობდა. გან-

საკუთრებით რძის პროდუქტები და ლობიო უყვარდა, რაც ნატურალური იყო, ყველაფერს ინონებდა... კარგი დისპვილები ჰყავდა ჯვარში, ისინი იშვიათად სტუმრობდნენ... ალბათ, თვითონაც ასე ერჩივნა... იქითაც იშვიათად მიდიოდა... ის ჩვენი სოფლის მკვიდრი გახდა და ყველა-სათვის ახლობელი, ზოგი რას მოუკითხავდა, ზოგი რას... გათხოვილი არასდროს ყოფილა... მეც ხშირად ვსტუმრობდი და ვმეგობრობდით ტოლებივით. როცა არ გვესტუმრებოდა, აუცილებლად მოვიკითხავდით... დედა უფრო მე მიშვებდა... ერთხელ მასთან ყოფნისას მომიყვა, ჯვარიდან გაგრაში განაწილებით როგორ გაუმწესებიათ სამუშაოდ ახალგაზრდა გოგო, აქ შეყვარებია ახალგაზრდა თანამდებობის პირს, თავს ბედნიერად გრძნობდნენ ერთად და დაუნიშნავთ კიდევ ქორნილის დღე. მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“... ქორნილამდე მივლინებით ნასულადავითი სხვებთან ერთად იმერეთში, ავარიში მოყოლილან და სწორედ ის დაღუპულა. ასე დამთავრდა ჩემი ბედნიერება. ამ ამბის გადატანა ძალიან

გამიჭირდა, წლები მოვანდომე ტკივილების მიყუჩებას... და... ვიფიქრე, გარემოს გამოცვლა მარგებს-მეთქი და აქ გადმოვედი სამუშაოდ... აქ დაიწყო ფანტაზიით სავსე პლატონური სიყვარულები... **ვიაჩესლავ ტიხონოვი** მუდმივად იყო მისი თაყვანისცემის ობიექტი. მისი ფოტოებით აჭრელებული ჰქონდა სახლის კედლები... მაჩვენებდა და მიხსნიდა, რომელი ფოტო რომელი ფილმიდან იყო... „გაზაფხულის 17 გაელვებაზე“ გიჟდებოდა... და იყო ერთი თანამდებობის პირი სოფელში... მისი სიყვარული პლატონურად დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთამდე... დალანდავდა თუ არა, თვალები აუციმციმდებოდა, გაეკეკლეოდა, სახელით და მამის სახელით მიმართავდა რუსული ნესისამებრ... ბოლოს სკლეროზი დაემართა, ხან იქით ვაკითხავდით, ხან აქეთ მოდიოდა ლასლასით, ლობე-ლობე. ჩვენი სახლის ჭიმკრამდე ოდნავი დაღმართია, ლობესმიყრდნობილი გვეძახდა: „სპუსკია, სპუსკი, ნამიყვანეთო“... მივდიოდით და მოგვყავდა... შემდეგ ისევ მიგვყავდა და... მოგვყავდა... ბოლოს ვერ დადიოდა,

რიგრიგობით ვაკითხავდით მეზობლები, სანამ ნათესავეები წაიყვანდნენ. დედაჩემი რომ გამოვიდა, თურმე მეორე მეზობელი შედიოდა, იმისთვის უთქვამს: ახლა ლატავრა ფოჩიანი იყო და გადასარევი სადილი მომიტანაო. ... იმ ბოლო ადამიანის ხსენებაზე თვალები უწყლიანდებოდა, კეკლუცობის თავი უკვე არ ჰქონდა... დაბა ჯვარმა მიიბარა მისი ლამაზი სხეული... აქ განისვენებს **ნადეჟდა ნესტოროვნა ცხონდა** - იუნყება საფლავის ქვა. უიღბლო იყო ჩემი მასწავლებელ-მეგობარი... უიღბლო, მაგრამ მაინც იღბლიანი... სულ მუდამ შეყვარებული, სულ მუდამ რომანტიკული და ... დაღლილი, უსაშველოდ დაღლილი. სახლის კედლებს შერჩა დავითის, ვიაჩესლავ ტიხონოვის და მისი ბოლო სიყვარულის-ალიოზა ადამიანოვიჩის ფოტოები... ვის სჭირდებოდა ისინი სხვას? მალე სახლი აიღეს და კედლებიდან უსინაულოდ, ცინიკური მიმიკით ჩამოგლეჯილი ფოტოები და სხვისთვის უსარგებლოდ ჩათვლილი ნივთები დაწვეს ნაგავთან ერთად. „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაოა“...

## ლიტერატურული გვერდი - კოეზია



**ნათია სირაქპაშვილი**  
ხევსურული მოტივებიდან

**მე ნავალ შენგან...**

მე ნავალ შენგან, უთუოდ ნავალ ასე ნაკოცნი და ნაფერები, არ გამოჩნდება შენთვის სხვა ქალა ვერ შეიყვები... ვერ გაბეგრდები!

შენ ეცდები და სხვას გააბრუებ ლექსებითა და „აკროსტიხებით“, ეს გაზაფხულიც გადაივლის და მერე შეცდომას უცებ მიხვდები.

ზღვის ტალღასავით ხარ „მოსაშოშო“ და ბედი მაინც არ გაქვს „ქალებში“, თვითონვე კარგავ, ხელიდან იქრობ და უშვებ ქალს სხვის - „ს ი მ ხ უ რ ვ ა ლ ე შ ი“.

იქნება ქალას უნდოდა შენი გამთბარი „უბე“ და „საბუდარი“, ნუთუ ქარს გაჰყვა, ნუთუ ზღვამ შთანთქა ჩ ვ ე ნ ი კ ო ც ნ ე ბ ი და ს ა უ ბ ა რ ი?!

თუ გინდ ლექსები მამწერე, როდი ვარ, ვაჟაუ, უარზედა, ოქრო-ვერცხლ რომ დამიყარო, მაინც ვერ გაგცვლი ქმარზედა!!!

\*\*\*

**ნამიყვა**, ვაჟაუ, ხევსურეთს, სადაც მაღალი მთებია, სად სიყვარულით დამთვრალნი მზეზე უგონოდ თბებია.

ნამიყვა, უარს ნუ მეტყვი, ქალის გული მფრთალია, იქ, მთებში მინდა რომ მწვავდეს სულ სხვა ცეცხლი და ალია.

\*\*\*

**წყალ** მამანოდე, ხევსურო, რაიმე დიდი „ბაკალით“, როცა შენ სიყვარულზე მწერ, ამ გულს გაუდის კანკალი.

\*\*\*

**გადვიფიქრე**, ხევსურო, შენთან წამასვლა მთებშია, ამდენ ფიქრები მთაზედა, ალბათ, ჭკვიდანაც შემშლიან.

როცა იქნება, მნახავენ ეგ მოთაფლისფრო თოლები, ოღონდ ნუ გამიწვიმდები, ოღონდ ნუ გამითოვლები.

მოხვალ, ს ხ ე უ ლ ს ამითროლოებ, აკვნესდება „ფ ლ ე ი ტ ა“ და „ქ ნ ა რ ი,“ უფრო გ ა ვ ლ ა მ ა ზ დ ე ბ ი და... დამერქმევა - „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ს ქ ა ლ ი“!

მერე წვიმა დამისველებს ჩემს „ნაზამთრალ“ სხეულს... ს უ ლ ს და ლ ე ქ ს ე ბ ს... გ ა ი ხ ე დ ე! ხომ სუყველგან ა პ რ ი ლ ი ა... და მე მაინ ც... ჩ ე მ ს გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ს ვ ე ძ ე ბ ი!



**ზურაბ მამულაშვილი**

**მონაწილე**

ჩემი მფარველი ახლა ლექსია და სინანულის იმაე წამიდან სულ სხვა ფიქრები შემომძვინკდა.

ფიქრობ, შეცდომა ხომ არ დაეუშვი, ან, იქნებ, ღმერთი მიწყობს გამოცდას, იქნებ ცხოვრების აურზაურში უმართებელი რამე წამომცდა.

ან უკვე ხომ არ მინია ცოდვამ, გენიდან გენში კვლავ რომ გადადის, ან ის, ეს გული ადრე რომ მთხოვდა, მივსულიყავი უფლის კარამდე.

ღმერთია მხოლოდ ყოველის შემძლე, იცის, ცხოვრებას როგორ ვენამე, შეუძლებელი რამდენჯერ შევძელ, არა მგონია, რომ დავესაჯე.

თუმც, უცოდველი კრავიც არა ვარ, ყველგან სიკეთის თესლი ვაბნობ, კაცობრიობის წინაშე მზად ვარ, ყველა ცოდვენი მოვინანიო.



**მურმან ხერცილავა**  
ახალგაზრდებს

რა მოგივიდათ, სად ნახვედით, რატომ არ ჩანდით რა მისაქცევებს, რომელ მღვიმეს შეფარებულნი? — ეს სადარდელი გულს მიღონებდა და სხვებთან ერთად მეც ვიყავი თქვენი მძრახველი, რამდენჯერ ვიხმე დიდი მგონის ჭალარა ლანდი. თურმე, ამაოდ მხრავდა ნალველი — არსად ნასულხართ. აგერ ყოფილხართ, განა შორეთს გადახვენილი. აჰა, გამოჩნდით! ენახე, როგორ მოაბიჯებდით თვალებშიანი გოგო-ბიჭები და აიტაცეს თქვენი ხმები მაღლა ქედებმა, როგორც სიმღერა თავისუფლების. კურთხეულ იყოს უეცარი ეს აფეთქება! ახალგაზრდებო! რამ დაგამგვანათ კორიდას ხარებს, თითქოს აქამდე დამწყვეტულს და უცაბედად თავაყვავილებს! ქედუხრელებო, ჯიუტებო, ყინიანებო, ახლა სჭირდება მამულს თქვენი ძალა უღვევი — რაც უნდა მოხდეს, გადამთიელს არ დაანებოთ! აბა, თქვენ იცით, ახლა თქვენთვის რეკავს დროება, მოძველდა სიტყვა გუმინდელი თუ შარშანდელი — გამოიღვიძა სულმა ქართულმა, დიდი ხანია, ასე მძლავრად არ აღმართულა, მოულოდნელად გარდმოვიდა უფლის ნათელი, მთლად არ ვყოფილვართ, მაღლობა ღმერთს, განწირულები და, მაღლობა ღმერთს, დამიბრუნდა მეც სასოება.



# თბილისის „დინამოს“ მეკარე, დამსახურებული ოსტატი



Кадр из кинофильма «СТРОПТИВЫЕ СОСЕДИ»  
ამირან ტყეშელაშვილი  
მეკარე  
„დინამო“ თბილისი

ამირან ტყეშელაშვილი დაიბადა 1918 წლის 13 მარტს, ქ. ოჩამჩირეში. ფეხბურთის თამაში 13 წლის ასაკში დაიწყო ოჩამჩირის სპორტულ სკოლაში. 16 წლის იყო,

როცა „დინამო“ ოჩამჩირეში მიიწვიეს, რომელიც მაშინ საქართველოს პირველობაზე ასპარეზობდა. 18 წლისა კი უკვე სოხუმის „დინამოს“ კარებს იცავდა.

ამირან ტყეშელაშვილი 20 წლის იყო, თბილისის „დინამოში“ რომ მიიწვიეს. 1938 წელს მან 8 შეხვედრაში ითამაშა, 1939 წელს 9 თამაში ჰქონდა ჩატარებული.

ფეხბურთის ყველა სპეციალისტს უზაროდა ახალგაზრდა მეკარის სწრაფი განვითარება და წინსვლა. 1940 წელს ყველას დაუმტკიცა, რომ თბილისის „დინამოში“ ნომერ პირველი გახდა — 23 თამაში ჩაატარა. მერე რაც მოხდა, იცის უფროსმა თამაში: 1940 წ. 13 ოქტომბერს მოსკოვში ორი თამაში ჰქონდა. პირველი მოსკოვის „სპარტაკთან“ მოიგო ქართულმა გუნდმა 2 : 1. გოლები გაიტანეს ჯეჯელავამ და ბერეჟნიომ. მეორე თამაშში მოსკოვის „დინამოსთან“ ფრედ 1 : 1 დამთავრდა. გოლი ბორის პაიჭაძემ გაიტანა.

მოსკოვში მეორე თამაშის შემდეგ ჩვენს მეკარეს ამირან ტყეშელაშვილს მოსკოვის „დინამოს“ ექიმებმა ნემსი გაუკეთეს მარცხენა ფეხზე. ამ ნემსის შედეგად, ჩვენს ახალგაზრდა მეკარეს 3 თვის შემდეგ, ძვლის კიბო აღმოაჩნდა

და იძულებული შეიქნა ფეხბურთისთვის დაენებებინა თავი. ის ამ დროს მხოლოდ 24 წლის იყო.

მას ასევე წარმატებები ელოდა სამსახიობო კარიერაში, იგი გადაიღეს ფილმში „ჭირვეული მეზობლები“, სადაც გრამიტონას ვაჟის, თენგიზის როლი წარმატებით ითამაშა.

ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობა“ ყოველ წელიწადს ვატარებთ ამირან ტყეშელაშვილს სახელობის ტურნირს. ჩვენს მუზეუმში, თბილისში ვისვენებთ ყველა ვეტერანებს. ჩვენთან სტუმრად მოდიან ვეტერანი ფეხბურთელები: რევაზ ძოძუაშვილი, ზორბეგ ებრაელიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, გიორგი ცაავა და სხვები, რომლებიც პატივს მიაგებენ გარდაცვლილ ფეხბურთელთა სსოვნას.

ამირან ტყეშელაშვილს გახსენების ღონისძიებას ესწრებოდნენ ოჩამჩირელები, სოხუმელები, გაგრელები. ამირან ტყეშელაშვილს შვილმა გიგა ტყეშელაშვილმა ყველას მადლობა გადაუხადა.

ამირან ტყეშელაშვილს ჩვენს ქალაქ ოჩამჩირეს იმდენი სიტბო და სიყვარული დაუტოვა, რომ ჩვენ ოჩამჩირელები ვალდებულები ვართ ამ ადამიანის წინაშე.

ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყო-



ფოს მისი სული ზეციურში.  
ამირან ტყეშელაშვილს 105 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე ასევე იყვნენ ჩვენს მუზეუმში ოჩამჩირის კავშირის „ერთობას“ წევრები: ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, თენგიზ ნორაკიძე, იური დოჩია, ვოვა უბირია, ომარ ყვანია, რეზო ჩხეტიანი, გივი ჩხეტიანი, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, ვანო ქეცბაია, თემურ ქეცბაია, დილარ კემულარია, ნოდარ კემულარია, ოთარ ნურნუშია, თემურ ჩიქობავა, თამაზ ჩხვირკია, კაჯა მინჯია, ანზორ გერგელავა, პავლე ქვაჩახია.

თენგიზ ნორაკიძე,  
სპორტის ოსტატი ფეხბურთში.



ამირან ტყეშელაშვილს 100 წლისთავზე შეხვედრას ესწრებოდნენ კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, რეზო ჩხეტიანი, ლინა ასათიანი და სხვები, ბორის პაიჭაძის კვლავ.

## თამაზ ჩიქობავა - 70



აფხაზეთის დამსახურებულ ინჟინერს, ოჩამჩირელების კავშირი „ერთობის“ ვიცე-პრეზიდენტს თამაზ ჩიქობავას 9 აპრილს შეუსრულდა 70 წელი, რასაც გულმხურვალედ ულოცავენ ამავე კავშირის წევრები, მეგობრები და ახლობლები. უსურვებენ წარმატებებსა და წინსვლას პირადსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

კავშირი „ერთობის“ სახელით: ლეო ბოკერია, ლორენცო შარანგია, იურა დოჩია, თენგიზ ნორაკიძე, ომარ ყვანია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, გივი ჩხეტიანი, რეზო ჩხეტიანი, თემურ ჩიქობავა, დევი ფუტყარაძე, როლანდ ჯობავა, ვახტანგ ალანია, ბესო კვარაცხელია, გივი ემხვარი, პავლე ქვაჩახია და სხვების.



მეგობრები, კოლეგები, შუნალ „დილას“ და ბაჰაში „სახალხო განათლება“-ის რედაქციები  
ცნობილ მართვალ მწერალს, შურნალ „დილას“ თანამშრომელს, ბესიკ კვეციანიძეს თანაბრძობას უცხალებს ღმერთს, ძალბატონ  
იზა ბაღდავაძე-კეკელიძის ბარდაცვალების გამო.  
ნათელი და სანთელი მის ნათელ სულს!  
უფალს ეგარებოდეს!



ზეციურ სამყაროს შეუერთდა ჩინებული პოეტი და მამულიშვილი მთვარისა დავითის ასული კერესელიძე. მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს, ეროვნულ ღირებულებებს. იყო „უშიში, ვითარცა უხორცო“ უსამართლობასთან ბრძოლაში.  
მისი მშობლები მოღვაწეობდნენ ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდლის საშუალო სკოლაში. მამა

## მთვარისა კერესელიძის ხსოვნას მისი ლექსები და სილამაზე ან უკვდავების ზინადარია

დავით კერესელიძე იყო დიქტო რის მოადგილე, დედა ვენერა სურმაჯა - დანყები ბითი კლასების პედაგოგი (ორივე მე მასწავლიდა). მათ სამშობლოს აღზარდეს სამი სახელოვანი შვილი: ლილა, მთვარისა და დავით კერესელიძეები.

სიმბოლოვანია, რომ მთვარისა თითქმის ნახევარი საუკუნე განაგებდა ლიტერატურის განყოფილებას გაზეთ „სახალხო განათლებაში“, თავადაც იყო ბრწყინვალე საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი. გამოსცემდა საკუთარ გაზეთებს. გაზეთ

„პოეზიაში“ ცალკე ნომრები უძღვნა პოეზიის კორიფეებს: გოგლა ლეონიძეს, იოსებ ნონეშვილს, შოთა ნიშნიანიძეს და სხვებს.

მისი სტიქია მაინც პოეზია გახლდათ. მის ლექსებზე კომპოზიტორები მუსიკას წერდნენ, მართავდა ლიტერატურულ შეხვედრებს, საღამოებს. სცენაზე თამარ მეფესავით ბრწყინავდა, გვხიზავდა ორატორული ხელოვნებით, დეკლამატორული ოსტატობით.

სამუშაოდ, დიდი ხანია სიტყვები „სამშობლო“ და „პატრიოტიზმი“ გაქრა მეტყველების სფეროდან, მაგრამ მისი პატრიოტული

ლექსები მაინც დაჟინებით ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პრესაში.

„ფერი ფერსაო“, „ტოლი ტოლსაო“ - ნათქვამია. მეუღლე ყოველმხრივ შესაფერისი შეხვდა - პოეტური პოტენციალით, ხასიათით სადარი, მეოჯახე მამა, დიდი პატრიოტი - ბერიძე აშვილი, რომელიც მსხვერპლად შეენირა მამულის სიყვარულს.

„მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“. მთვარისას ყველაფერი ბარჩა: სახელი, შემოქმედება, მემკვიდრეობა. მამულს ორი საამაყო შვილი აღუზარდა: ბაკური და თამაზ

ბერიძეშვილები, რომლებიც მუდამ გამარჯვებით უკვდავდებენ მშობლების სახელებს, არიან გულანთებული მამულიშვილები.

„შენი ლექსები იქაც, ზეცაში მოეფინება სივრცეს ედემად, შენი საქმენი სახელოვანი, შთამომავლობას გადაეცემა“.

კურთხეულ იყავ ან და მარადის, მთაწმინდის შესაფერისო!

კოლეგებისა და მეგობრების სახელით ბორის მიჰველაძე, ბაჰაში „სახალხო განათლება“-ის რედაქცია



# აქიმი და პოეტი — სიახაყე ერისა

დიდებული ექიმი და ჩინებული პოეტი **შალვა მჭედლიშვილი** ზეციურ სამყაროში ბინადრობს. მადლიერი ერი აღნიშნავს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ას წლისთავს. თავისთავად რიცხვი 100 სიმბოლურ-მაგიურ ძალას იძენს, ნინასნარ გვიქმნის წარმოდგენას პიროვნებაზე, მის ხატს აქანდაკებს.

**შალვა მჭედლიშვილი** ისეთ მოღვაწეთა თანაგარსკვლავედშია, რომელთა შესახებ ილიამ თქვა: „არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს, მამულს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“. აი, კიდევ ვაჟა: „ათას ცოცხალსა ბევრჯელა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

**შალვა მჭედლიშვილი** დღესაც ჩვენთან არის გაკეთებული საქმეებით, იყო, არის და იქნება მისაბადი მაგალითი თაობებისათვის, გვასწავლის, როგორ უნდა ვემსახუროთ მშობელ ხალხს, როგორ გვიყვარდეს და დავიცვათ ილიასმიერი „ენა, მამული, სარწმუნოება“.

იქნებ ვინმეს პათეტიკად მოეჩვენოს ეს წინასიტყვაობა, მაგრამ „რაც არის, ის არის, ჭორები მოაშორეთა!“

ზემოთქმულის ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნებს ამ ერისკაცის ხიფათებით აღსავსე ბიოგრაფია:

თავისი უაღრესად დისიდენტური სულისკვეთების მეოთხე კურსის სტუდენტი 1945 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. მისი როგორც მწერლის დევნა, შევიწროება და იგნორირება კომუნისტური რეჟიმის დასრულებისთანავე არ შეწყვეტილა, ნაწილობრივ გრძელდებოდა სიცოცხლის ბოლომდე. **შალვა მჭედლიშვილი** იყო იმ ორმოციანი წლების ლიტერატურული თაობის წარმომადგენელი, რომელმაც თავისი ეროვნული მრწამსის გამო განიცადა რეპრესიები, ხანგრძლივ გადასახლებები და ციხეებში ტანჯვა-წამები. გამოიარა ვორკუტის საკატორლო ბანაკები და სამუდამო გადასახლება ყაზახეთში. პოეტის ლექსებში მისი სულიერი



ბიოგრაფიაა ასახული და აღბეჭდილი. დიდი, მოუშუშებელი ტკივილით სამშობლოს ბედზე, დაკარგულ სიყვარულზე, ადამიანური ყოფის საჭირობოტო საკითხებზე. სამოც წელზე მეტი ემსახურა **შალვა მჭედლიშვილი** პოეზიის წმინდა სამსხვერპლოს. უამრავი ცხოვრებისეული განსაცდელის მიუხედავად, ხანგრძლივი სიცოცხლის გზა განვლო და ბოლომდე პოეტად დარჩა. მისი ფიქრიანი, გულშიჩამწვდომი ლირიკა, ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარი და ღვთის რწმენით გამსჭვალული, უსათუოდ იმსახურებს მკითხველის აღიარებასა და სიყვარულს. ეს მან დაიმსახურა თავისი მონამებრივი ცხოვრე-

ბითა და უდავო ნიჭიერებით აღბეჭდილი შემოქმედებით.

დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელი ანაგაში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 1945 წლის 27 მარტს 22 წლის შ. მჭედლიშვილი „იდეოლოგიურად მიუღებელი“ ლექსების გამო დააპატიმრეს. ორ წელზე მეტი გაატარა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმროში, რაც 1945 წლამდე დახვრეტას ითვალისწინებდა. ახალგაზრდა პოეტის საქმეს იცავდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი **შალვა ალექსი-მესხიშვილი**; მან მოახერხა დახვრეტის მუხლის შეცვლა. მოგვიანებით სპეციალური დადგენილებით, შ. მჭედლიშვილი გადაასახლეს. 1949 წლიდან იჯდა ბაქოს, დონის-როსტოვისა და ვოლოგდის ციხეებში, იყო გადასახლებული იმიერ-პოლარეთში, სასჯელს ვორკუტის საკატორლო საპატიმრო ბანაკში იხდიდა, სადაც ქვანახშირის მე-6 (ყველაზე სასტიკ და მძიმე) მალაროში უწევდა მუშაობა. სტალინის

გარდაცვალების შემდეგ პოეტი გაათავისუფლეს ვორკუტის საკატორლო ბანაკიდან, მაგრამ სახლში დაბრუნების ნაცვლად ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ ყარაღანდაში გადაასახლეს. იქვე გადასახლებაში დაამთავრა ყარაღანდის სამედიცინო ინსტიტუტი. იგი გადასახლებიდან ამნისტიით დაბრუნდა და იმყოფებოდა გასახლებაში. მას ლექსებს არ უბეჭდავდნენ - ცენზურა კრძალავდა მის შემოქმედებას, დედაქალაქში ცხოვრების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, იყო ზედამხედველობის ქვეშ, საქართველოს სხვადასხვა კურორტებზე - შოკში, ბორჯომში, გაგრაში, წყალტუბოსა და ახტალაში წლების მანძილზე მუშაობდა მკურნალ ექიმად. გამოცემული აქვს 10—ზე მეტი წიგნი, არის ავტორი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა“.

მეტს არ გავაგრძელებთ ამ სევდიან ისტორიას.

გთავაზობთ საგანგებოდ შერჩეულ რამდენიმე ლექსს:

## მეორედ მოსვლა

„მოვლით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა, ამინ.“

/მრწამსი/

დასცხეთ დაფდაფებს, გააჩაღეთ კენესა ზარების, აქვითინეთ ორთქმავლები, აუწყეთ ყველას, მეორედ მოსვლა... ჰა, ლანდები შესაზარებნი, უკვე აყეფდნენ და უთვლიან მალალ ღმერთს წყევლას. აზვირთებულან სისხლის მთებად საუკუნო სარეცელები და დედამინა შეჰფარვია უღიმღამო ღამეთა ზენარს, მიცვალეულნი მოცახცახე, ცეცხლის ცელებით, გრგვინვით გაზარულ საფლავებზე ამოხბენ ზეცას; მხეცნი დაცოფდნენ, ღრიანცელი სივრცეებს დასცეს, ბნელ ხეობებში მეხთატიების ექონი ჰქუზან, ჩონჩხთა ყმუილით დაფეთებულ ანგლოზთ დასებს ელვის მათრახით ერეკება სატანა გულქვა. ყველგან უწყალო წყვიადია, წყეული ყინვა, ყვავ ყორნებიც კი შიშით ფრთებს ძლივს ასავსავებენ, სისხლიან ქარებს მოთქმითა და ქვითინით მიაქვთ ნიხლით ნათელი, უდღერო ბავშვთა თავები. ქვეყნად ყოველი ამოა... უკვე გვიანი... მინა ირწევა, მინა იძვრის, ცეცხლი ფლეთს და ღრღნის. არნახულ რისხვით მღელვარებენ ოკეანენი, სისხლი და სისხლი, შურისგება, ჯანლი და ჯანლი. საკირეების ლოტოებით დრტვინავენ ველნი, ცეცხლში მკვნესარე შიშველ ქალებს არავინ შველის. ეკლესიები გედთა ფრთებით მიცურავს ცისკენ, ვარვარა ჯვრებზე უხვევიან კაცის მკვლელები; გუგუნებს მინა, გულშემზარავად გმინავს და ისევ უფსკრულებიდან იმუქრება მკაცრი ხელები. ო, ეს ხელები, სისხლიანი შავი ხელები ღამობს ყოველი არსის აღგვას განახლები, ნინასნარმეტყველ, ყოვლისტყვედმქნელ ფერიის საყვირს ქუხილად ასდევს იდუმალი ქვესკნელთა ბანი, დათა სასთუმლებს, ძმებისაგან წაბილწულთ, წარყვნილთ, ცრემლთა წარღვრებით ვერ განბანენ თვით ღვთაებანიც. კანის აჩრდილს მოზვიმეს, მარად მედიდურს გადაუშლია თვისი ფრთები პირბასრ დანებად, აღარც ნუგეში, აღარც რწმენა, აღარც მუდარა, აღარც სიკვდილი, აღარც მხსნელი და დანანება. არსაით შველა, ვილუპებით, ნისლია, ნისლი, ციურ კომქთაგან გამგმირავი ელვები ცვივა. შლეგი დედები ყანწს ავსებენ შვილების სისხლით,

\*\*\*

ძველი ცოდვების შესანდობარს სიცილით ცლიან. დასცხეთ დაფდაფებს და სანთლების სევდიან ალში ააფრიალეთ ქრისტეს ხატით ნაქარგი დროში! დასცხეთ დაფდაფებს, მიაჩუმეთ სიკვდილის მარში. მეორედ მოსვლა მოახლოვდა, მეორედ მოსვლა!

## უსათაყრო

„ის პოეტების შავი ბედი იყო, შავი ვარსკვლავი“ სმოლენბი

რა გვიან ვიგრძენ მე უგუნურმა შენ სიყვარულის არ იყავ ღირსი, სჯობს ჩემი გული ძალღებს მიუგდო, ხარბმა სვავებმა სვან ჩემი სისხლი... ვიდრე კვლავ შენი ხატი ვატარო, უწყალოდ ჩამეჭნარ, ჩამკვდარ ჩემს გულში, შენ იყავ მთელი ჩემი სამყარო... მთელი მზისეთი, მაგრამ შენ გძულდი! მწამს გვიან იგრძნობ ჭეშმარიტებას, წარმავალია ყველას დიდება, უკვდავი მხოლოდ სიყვარულია! რა საბრალოა, რა საბრალოა ფუჭი დიდება ვისაც სწყურია!

## გემშვიდობები და ერთსლა გეტყვი!

გემშვიდობები და ერთსლა გეტყვი! გვიან მიხვდები, რომ სიყვარულით თავდავიწყება არის მთავარი, და რა ცოდო ხარ თუ გვერდს აუვლი... შენივე თავის გახდი მტარვალი!

\*\*\*

ინანებ... იტყვი: ვნახე სოფელი, და რა ამაოდ ვეხეტე აქ მე, რა უბადრუკი საქმე ყოფილა, მე რომ დიადი მეგონა საქმე!”

## ისევ შენდამი

რა ვიქნებოდი ამ სამყაროში, შენ რომ მგზნებარედ არ გიმღეროდე?

ზეშთაგონების და შეს გარემე ხომ ვერ ვპოვებდი ჩემს ხვედრს ვეროდეს! ლხენად მივიჩნევ შენგან წამებას, ხოლო ჯოჯოხეთს ლამაზ სევდებად. შენ რომ არ იყო, რა მენამება, ნუგეშად რალა გამახსენდება! მე სანუთროში შენთვის მოვედი, ნავალ და შენზე სევდა წამყვება, შენი პოეტი, შლეგი პოეტი, შენთვის რომ ვკვდები, მემამაყება!

## ქვის სამტეხლოში

რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო, რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა პაოლო, ძმობილო ჩემო, მართლაც ძნელია ქვის სამტეხლოში შრომა ყოველთვის, მაგრამ ათასჯერ საზარელია და უმძიმესი ხვედრი პოეტის! ჯერ უნდა ცოცხლად დაგწვან, დაგმარხონ, თვით ყოვლისშემძლე ღმერთიც ვერ გიხსნის, ასჯერ დაგბუგონ, ასჯერ დაგლახვრონ, რომ მკვდრეთით აღსდგე, როგორც ფენიქსი. პოეტის ხვედრი სულ სხვაა, სულ სხვა: ბოროტს ფარ-ხმალი უნდა აჰყაროს, მისი ლექსებით ირწმუნოს გულქვამ, რომ სიყვარული იხსნის სამყაროს.

## პოლო სიტყვა

„საქართველოსთვის ჯვარზე ვნებული, სასუფეველში შეხვალ, იცოდე!“ - უკანასკნელ გზაზე ასე გააცოლა მერაბ კოსტავა პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. ქვეტექსტი გასაგებია. არსენას საფლავზე მარმარილოს ქვაზე დაანერეს: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“. — ესეც გასაგებია. „იყავ ნათელში!“

**პორის მიშველაძე,**  
საქ. დამს. ჟურნალისტი

**რედაქტორის მინაწერი:** მაქმს 06წ(ო)რმა-ცია: მაისის დასაწყისში მწირობთა კავშირში (მაჩაბლის 13) ბაიბართეზა შალვა მჭედლიშვილის ხს(ო)მის ღ(ო)ნისძიება.

**მთ. რედაქტორი**  
**ბორის მიშველაძე**  
555 596 050  
აღმასრ. რედაქტორი: **ნათია გურგენიძე**  
593 422 258  
გამომცემელი: ა(ა)იპ „**პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი**“  
ს/ს 402010587  
ს/ს თბილისი ბანკი:  
GE 94 TB7249236080100007

**რედკოლექცია**  
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;  
ნათელა ქიქერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;  
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;  
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;  
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;  
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com  
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge  
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N3 (4610)  
19 აპრილი / 2023 წელი  
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან  
ISSN 1987-9113